პარასკევი, 1918 წ. ღვინობისთვის 11 № 191

წლიწადი მეოთხე

პარასკევი, 1918 წ. ღვინობისთვის 11 № 191

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

დასავლეთის ფრონტზე მოკავშირენი კვლავ სასტიკ შეტევას განაგრძობენ.—ალბანეთში ფრანგ-სერბების ჯარები ელბასსენში შევიდნენ.—კამბრესა და სენ-კანტენის მიდამოებში სასტიკ ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა უკან დაიხიეს და კამბრე მიატოვეს.—ამერიკაში, ნიუ-ჯერსიში ყუმბარების დიდი საწყობი აფეთქდა.—სტატს-სეკრეტარმა ლანსინგმა შვეიცარიელ რწმუნებულს გადასცა გერმანეთის საზავო წინადადების საპასუხო ნოტა.—სტოკჰოლმის ცნობით, პეტროგრადში დაუხვრეტიათ ყოფილი მინისტრი ტრეპოვი.—ქ. სოფიიდან 4 კილომეტრის მანძილზე სასტიკი ბრძოლაა რევოლიუციონერებსა და მთავრობის ჯარებს შორის.—ბულგარეთის სახალხო საბჭოს მოწვევა 15 ოქტომბრის გადაიდო.

7 ღვინობისთვეს, დილის 9 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნატალია დავითის ასული

ავალიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი ილია ნიკოლოზის ძე ავალიშვილი, დედამთილი მარიამ გიორგის ასული ავალიშვილისა, მული ეკატერინე ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილისა და მაზლი ვასილ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი ოჯახობითურთ. მიცვალებულს გამოასვენებენ სახლიდან დავიდოვის (შესახ. სახლი № 12) პარასკევს 11 ღვინობისთვეს დილის 10 საათზე. დასაფლავება მოხდება მთაწმიდის წმ. მამა დავითის ეკლესიაში.

7 ღვინობისთვეს, დილის 9 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნატალია დავითის ასული

ავალიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა, ძმა ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი, და მისი ეკატერინე სულხანიშვილისა, ბარბარე ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ნინო ქიქოძისა, და ანასტასია ჯანდიერისა მეუღლეებითურთ. მიცვალებულს გამოასვენებენ სახლიდან (დავიდოვის შესახ. სახ. № 12) პარასკევს, 11 ღვინობისთვეს დილის 10 საათზე დასაფლავება მოხდება მთაწმინდის წმ. მამა დავითის ეკლესიაში.

ღრმათ დამწუხრებულნი კნ. ჟოზეფინა ანტონის ასული ციციშვილისა შვილები: მარიამ მიხეილის ასული მაჩაბლისა, ნინა მიხეილის ასული ციციშვილი, ეკატერინე მიხეილის ასული ჭავჭავაძისა ქმრებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთა დანაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლისა და მეორენი ძვირფასი და დაუვიწყარი მამისა

თ. მიხეილ სოლომონის ძე

ციციშვილისა,

რომელიც გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 9 ოქტომბერს. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე დუშეთის ტუპიკზე სახლი № 4. გამოსვენება შაბათს დილით 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა და დაკრძალვა იქვე. (1—1801—1)

ქართული საამშენებლო და სავაჭრო აქციონური საზოგადოება

„ოქროს ვერძი"

ამით აცხადებს, რომ წესდების § 50 და 52 თანახმად ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების შენობაში ქ. ფოთში შესდგება აქციონერების საგანგებო

საზოგადო კრება

დღის წეს-რიგში შემდეგი საკითხებია: 1) ვადის დანიშვნა და საქციო შემოსატანი ფულის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც გაწერილია დამფუძნებელ-აქციონერთა შორის. 2) გამგეობის ერთი წევრის გამოცვლა (§ 40). (2—1798—1)

გამგეობა

სოფლის კოოპერატივების

საყურადღებოდ

თბილისის მომარაგების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მას აქვს გადადებული სოფლის კოოპერატივებზე გასასყიდად ასი ათასი წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმისა (ბიაზისა). წყვილი ღირს ხუთი თუმანი. მისამართი: მომარაგების კომიტეტი, თბილისი, შტაბის ქუჩა, 2. 2—1

თბილ. კომიტეტი აცხადებს,

რომ ლოტარიის წიგნაკი № 35 (851—875) რომელიც ჩაბარებული იყო კომიტეტის მიერ ბ-ნ ტ. გოგიტიძესთვის, დაკარგულა.. ყველა ბილეთები, რომელიც ხელმოუწერელი იქნება ბ-ნ გოგიტიძეს მიერ ყალბათ ჩაითვლება. (1026)

თბილ. კომიტეტი აცხადებს,

რომ ლოტარიის წიგნაკი № 21 (501—5251) რომელიც კომიტეტის მიერ გადაცემული იყო კალისტრატე ბერიძესთვის ბილეთების გასასყიდათ, დაკარგულა. ამ წიგნაკიდან ყალბათ ჩაითვლება შემდეგი №№ 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524 (1026)

კაფე „ერთობა"

კაფე „ერთობა", კაფე „ერთობა",
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯან-საღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში" შვიდ მანეთს მისცემთ,
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას" მუდამ პატივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას"
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის" სადილს მიასწრებთ. 25—5

სახალხო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ან. ლ. ლევეკასა
პარასკევს, ღვინობისთვის 11-ს, დაიდგმის

პიკის ქალი

„Пиковая Дама"

ოპერა 3 მოქმედებად და 7 სურათად. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: სკვარცოვისა, იანსა, მოროზოვისა, ოვსიანკოვისა, ორლოვი, ბერეზინი, ბალაბანი, ზუბარევი, დემიანენკო, ეზროვი და კურბატოვი.

დირიჟორი სტოლერმანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს, 11 ოქტომბერს—„მანონ".

## ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს" კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინაალმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ. 5—5

ნაფიცი ვექილი

დ. ბ. კვირკველია

გადმოვიდა თფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—2

## მიწის მესაკუთრეთა დაკმაყოფილება

ვინც თვალს ადევნებს იმ ცხრილებს ჩამორთმეულ მიწებისა, რომელიც ხშირად იბეჭდება ჩვენს გაზეთებში, შესაძლოა იფიქროს, რომ მიწის საკითხი საქართველოში უკვე გადაჭრილია, ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, ამისთვის ბევრი აღარაფერი დარჩენილა.

შეიძლება მხოლოდ მიწადმოქმედების სამინისტროში უწყიდენ ამ ცხრილების საიდუმლოება და ხედავდნენ თუ რამდენად შორს არის ჯერ კიდევ მიწის საკითხის გადაჭრა, თუნდაც ისე მარტივად, როგორც ამას 7 მარტის კანონი შვრება. პრაქტიკულად კანონის განხორციელებისათვის სულ მარტივი გზა იყო გამონახული, როგორც ამის შესახებ ხშირად მოგვითხრობენ ოფიციალურ გაზეთების კორესპონდენტები. თბილისიდან გაგზავნილი ემისარი ესტუმრება ამა თუ იმ რაიონს, შეყრის საზოგადოების ყრილობას, წაუკითხავს მოხსენებას პოლიტიკურ მომენტზე და დასასრულ გააცნობს ხალხს მიწის დეკრეტს. ხალხი თურმე ყოველთვის აღფრთოვანებით ხვდება ასეთს მოხსენებებს და ამის შემდგომ ხდება მიწების „ჩამორთმევა" და „მიღება", ასე რომ სულ ორიოდე დღის შემდგომ მიწადმოქმედების სამინისტროს უკვე ცნობა აქვს, რომ მისმა ემისარმა უკვე ასი ათასი, თუ მეტი, დესეტინა მიწა ჩამოართვა მესაკუთრეთ და მთელს რაიონში მიწის საკითხი გადაწყვიტა.

ამ სახითაც არ დამთავრებულა ჯერ მიწის რეფორმა საქართველოში. თუმცა, როდესაც 6 დეკემბრის კანონი გამოიცა, ზოგიერთი გულმხურვალე სოციალისტი ისე უჩქარიდა ამ საქმეს, რომ სავსებით შესაძლოდ მიაჩნდა მისი ორი კვირის განმავლობაში განხორციელება.

უკვე თვით სოციალდემოკრატიულ წრეებში მომწიფდა ის აზრი, რომ მესაკუთრეთაგან ჩამორთმეულ მიწებს ახალი მესაკუთრეები უნდა გაუჩნდეს და არავითარი ანგარიში არ არის ამ მიწების უფასოდ დარიგება.

მიწადმოქმედების სამინისტრო ცნობას გვაძლევს, რომ საქართველოში 750 ათასი დესეტინა მიწა ჩამოერთმევა მესაკუთრეთ თანახმად 6 დეკემერის კანონისა, მაგრამ ის თავის ცხრილებში სრულებით არ იხსენიებს რომელ მემამულეთ ჩამოერთმევა ეს მიწები და რას წარმოადგენს ეს მიწები. შესაძლოა მთელს ამ 750,000 დესეტინა მიწაში ბევრი არ მოიპოებოდეს ისეთი, რომლის გაყიდვა შეეძლება ხაზინას.

იმ წესით, როგორც ეს ხდება ამ ჟამად, არამც თუ 750 ათასი დესეტინის ჩამორთმევა, არამედ ორჯერ მეტი მიწის ჩამორთმევაც ადვილი საქმე იქნებოდა. თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში ყველა ის მესაკუთრეები რომ არ ავიღოთ, რომელთაც მიწის დეკრეტი უნდა შეეხოს, მარტო ისეთს მფლობელებს, რომელთაც 100 დესეტინაზე მეტი მიწა აქვთ, მილიონ ნახევარი დესეტინა მიწა უჭირავთ. ამ მსხვილ მესაკუთრეთაგან მიწის ჩამორთმევა მიღებულის წესით გაცილებით უფრო ადვილი იქნება. და, ვინაიდან მათი რიცხვი მცირეა და მათი მიწების თავის წიგნების აღსანიშნავად ემისარებს ყრილობების გამართვაც არ დასჭირდებოდათ.

უსასყიდლოთ მიწის ჩამორთმევას არც ერთი ევროპის სოციალისტური პარტია არ იცავს. თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ამ ათიოდე წლის წინეთ თავის პროგრამაში მხოლოდ ჩამონაჭრების ჩამორთმევას მოითხოვდა და დანარჩენ მიწებში ფასის გაღებას სრულებით არ უარყოფდა. ასეთსავე აზრს იცავდენ სოციალისტ-რევოლუციონერთა ზოგი მეთაურები. სახელმწიფომ სასყიდელი უნდა გაიღოს ჩამორთმეულს მიწებში არა მარტო იმიტომ, რომ არ დასაჯოს მთელი საზოგადოებრივი წრე, არამედ იმიტომ, უფრო, რომ ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესები. სახელმწიფოს გონიერი პოლიტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ, შეძლებისადაგვარად, მთელი ხალხისთვის შექმნას ისეთი პირობები, რომ თითეულს მოქალაქეს არამც თუ არსებობის, არამედ განვითარებისა და ცხოვრების კეთილად წარმატების საშუალება ჰქონდეს. ათი ათასობით მოქალაქეს არც ერთი გონიერი სახელმწიფო არ ჩააყენებს ისეთს მძიმე მდგომარეობაში, რომ ისინი ერთის დაკვრით გარიყული იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან და არსებობის საშუალებას მოკლებული. მტკიცება, რომ მიწა არავის არ ეკუთვნის და ყველას საკუთრებააო, არის უბრალო დემაგოგია. მესაკუთრეთა დიდ ნაწილს მიწა შეძენილი აქვთ იმავე წესით, როგორც ყოველგვარი სხვა ქონება შეიძინება. ასეც რომ არ იყოს, მიწის შენარჩუნება აქამომდე ჩვენთვის ეროვნულ დამსახურებად იყო მიჩნეული და არ შეიძლება ეხლა დავსაჯოთ ისინი, ვინაც მიწა არ გაყიდა და გაფლანგა.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს მესაკუთრეთა დაკმაყოფილება ჩამორთმეული მიწებისთვის?

მიწის ნორმა უნდა გადიდდეს, მაგრამ კერძო მესაკუთრეთ დიდძალი მიწა ჩამოერთმევათ ეს ნორმა ერთი ათადაც რომ გავადიდოთ. ამ მიწების გამოსყიდვას დიდძალი თანხა დასჭირდება, თუმცა ამ მიწებში სახელმწიფო ვერ მისცემს მესაკუთრეთ იმ ფასებს, რომელიც ეხლა არსებობს მიწაზე. მიწაზე ამ ჟამად ისევე, როგორც ყოველივე სხვა საქონელზე ფრიად გადაჭარბებული ფასები რაც გამოწვეულია სურსათის კრიზისით, ფულის საქმის მოუწესრიგებლობით და თვით ემისარების მოღვაწეობით. სახელმწიფო ამ მიწებში გაიღებს ზომიერ ფასებს, მაგრამ ასეთს რთულს რეფორმას მაინც დიდძალი თანხა დასჭირდება. ამასთანავე ჩამორთმეული მიწებიდან, მხოლოდ ერთი ნაწილი გაიყიდება და დანარჩენი სახელმწიფოს ხელში დარჩება. რასაკვირველია ეს ნაწილიც შეიძლება ისეთს ფასებში გაიყიდოს რომ ყველა მიწების გამოსყიდვას ეყოს, მაგრამ ამ მიწების გასყიდვა ხაზინამ უნდა გამოიყენოს ეხლანდელ თავის გასაჭირისთვისაც.

ამისთვის სახელმწიფოს სპეციალური სესხის გამოცემა დასჭირდება მიწის მესაკუთრეთა დასაკმაყოფილებლად. სულ მოკლე ხანში ჩვენი ხაზინა გამოსცემს 50 მილიონის მოკლე ვადიან სესხს. ჩემის აზრით ასეთივე სესხის ფურცლები უნდა გამოიცეს მიწის მესაკუთრეთა დასაკმაყოფილებლათ, ანუ შეიძლება უფრო გრძელ ვადიანი სესხი დაგვჭირდეს. ამ სესხის სარგებელს, თუ მის ნაწილობრივ დაფარავს სავსებით ეყოფა ჩამორთმეულ მიწების იმ უდიდესი ნაწილის შემოსავალი, რომელიც ხაზინის ხელში დარჩება. ჩამორთმეულ მიწების ის ნაწილი კი, რომელიც მიწად-მოქმედებისათვის გამოსადეგად იქნება მიჩნეული, გაიყიდება მეურნეებზე და აქედან შემოსული ფული საგრძნობელ დახმარებას გაუწევს საქართველოს ხაზინას.

ა. ასათიანი.

## რა მოხდა თბილისის საბჭოში

გამართლდა ჩვენი წინადგრძნობა.

ყველა ელემენტები, რომელნიც ცხადათ, თუ მალულად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს თავისუფლებას და უყურებდნენ თბილისის საბჭოს, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზს, შეერთდნენ ერთის ზრახვით და იერიში მიიტანეს ქალაქის გამგეობაზედ და საქართველოს უმაღლეს მთავრობაზედაც.

ისარგებლეს შემთხვევითი უმრავლესობით და ესერებისა, დაშნაკელებისა და კადეტების ბლოკმა 30 სექტემბრის სხდომაზედ გაიყვანა წინადადება, რომ აეკრძალოს ქალაქის მილიციას დახმარება აღმოუჩინოს ცალკე რაზმს, რომელიც არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ებრძვის განსაკუთრებით სპეკულიაციის გავრცელებას თბილისში.

ეს იყო დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია და ბლოკიც გამარჯვებას დღესასწაულობდა.

მაგრამ ძალიან მოსტყუვდენ.

მათი სულისკვეთება სავსებით გამოაშკარავდა. ხალხმა დაინახა ვინ არის ნამდვილი მათი მოამაგე და ვინ ორგული.

აგრეთვე გამოფხიზლდა სოციალ-დემოკრატ. პარტიის ფრაქცია ქალაქის საბჭოში, ნათლად დაინახა რა საფრთხე მოელოდა საქართველოს დედაქალაქს და თვით ფრაქციაც, დიდის ენერგიით მოეკიდა საქმეს და საბრძოლველად გამოსროლილი ხელთათმანი დაუყოვნებლივ ხელში აიღო.

2 ოქტომბრის სხდომას დაესწრენ საბჭოში ის ხმოსნებიც, რომელნიც ამდენხანს ძვირად თუ დადიოდნენ და მათ შორის ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და სხ.

მოწინააღმდეგეთა ბლოკის დემონსტრაციამ ყველა ქართული ფრაქციები შეაერთა მიუხედავათ მათი რწმენისა. სოც.-დემოკრატები, ეროვ.-დემ. და სოც.-ფედ. ამ ნიადაგზე ძალა-უნებურად შეთანხმდენ და ერთსულოვნობა გამოიჩინეს. მათ მიეკედლათ აგ-

რეთვე გამოყოფილი ესერების ჯგუფიდან ქართული ფრაქცია, რომელსაც წარმოადგენენ ქართველი ესერები ჩერქეზიშვილი, მესხი, ნათაძე და სხვ. (ამათვე მიეკედლა ერთი რუსის ესერი ჩემოდანოვიც).

შექმნილმა პირობებმა დაბადეს ამ მომენტისათვის ეს გადაჯგუფება და ამ შეერთებულ ძალას კი აღმოაჩნდა დიდი უმრავლესობა.

საბჭომ 7 ოქტომბრის სხდომაზედ უარჰყო წინანდელი დადგენილება და მიიღო სოც.-დემოკრ. მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომლითაც ცნობილი არის ცალკე რაზმი, როგორც სახელმწიფოებრივი დაწესებულება, რომელსაც ქალაქის მილიციამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს ყოველივე მოქმედებაში სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად.

ამ დამარცხების შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ ესერების და დაშნაკელების წარმომადგენელთა ყოფნა გამგეობაში უხერხული იყო და, თუმცა სოციალდემოკრატებმა მათ მაინც შეაძლიეს ორ ორი ადგილი მაგრამ ამ პარტიებმა უარყვეს მათი წინადადება და გამგეობაში თავისი კანდიდატები აღარ წარმოადგინეს.

ესერებს ჰყავდათ გამგეობაში 3 წევრი და დაშნაკელებს კი ორი. მოხდა ახალი არჩევნები, რომლის შედეგები დიდათ თვალსაჩინოა.

ქალაქის თავად ამორჩეულ იქმნა ნ. ელიავა, გამგეობის წევრებად ზესელიძე, კონიაშვილი, პიროუმოვი, ჩერქეზიშვილი და ხურამოვიჩი. სულ 6 კაცი. მათში პირველი ოთხი სოც.-დემოკრატია, მეხუთე ქართველი ესერია და მეექვსე კი მუსულმანთა ფრაქციის წარმომადგენელი.

ამ ნაირად თერთმეტი კაცის მაგივრად ამორჩეულ იქმნა ექვსი კაცი, რაც ჩვენის აზრით ამჟამად საკმაოც არის.

მართალია, სოც.-დემ.ფრაქციას ხვდა გამარჯვება, მაგრამ, თუ ძივილებთ მხედველობაში, რომ ხმები თითქმის ნახევრად არის გაყოფილი და ს.-დემ. ხმოსნების უმრავლესობა მოუცლელობის გამო კრებას არ ესწრება, კიდევ მოსალოდნელია, რომ სულ მოკლე მომავალში ხელახლად გაიყვანენ უნდობლობის გამოცხადებას და ხელახლად იძულებულ ჰყოფენ გამგეობას, კიდევ გადადგეს.

ჩვენ გადავედით ისეთ ხანაში, რომ საბჭოში იქნება დაუსრულებელი კონფლიქტები და დემონსტრაციები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

ასეთ მდგომარეობას ბოლო მალე უნდა მოეღოს.

ეროვნულმა საბჭომ უნდა მიაქციოს ჩვენს ქალაქებს განსაკუთრებული ყურადღება და სულ ახლო მომავალში შეიმუშაოს ახალი კანონი, რომლის ნიადაგზედაც უნდა მოხდეს ხმოსნების ახალი არჩევნები.

მხოლოდ ამ გარემოებას შეუძლია თბილისის ქალაქის საბჭო ქართულ დაწესებულებად გახადოს და ძირიანად აღმოფხვრას იქ კონფლიქტების ბუდე და ნახევრად მტრის ბახაკი გარდაქმნას საქართველოს მთლიანობის და თავისუფლების დამცველ ორგანოდ და დედა-ბოძად.

პართენ გოთუა.

## პრესის „მონოპოლია“

რუსი ბოლშევიკების ერთი მომაკვდინებელი ცოდვა, რომელზედაც შარშან ოქტომბრის აქეთ ხმის ჩახლეჩამდი ყვიროდა სოციალისტური თუ ლიბერალური პრესა—ეს იყო პრესის მონოპოლია. თავის მობეზრებამდი იმეორებდენ, რომ დემოკრატია, რომელიც იბრძოდა სიტყვის თავისუფლებისათვის, შეუძლებელია ასე ეპყრობოდეს თავისუფალ აზრს და ტეროლის ქვეშ ჰყავდეს მოწინააღმდეგენი. მაგრამ ასეთ საყვედურებს ბოლშევიკები არაფერ ყურადღებას არ აქცევდნენ.

აუარებელი და უზარმაზარი სტამბები და ქაღალდის საწყობები ჩაიგდეს ხელში, იმის გარდა, რომ რეკვიზიცია უქნეს ძველ მთავრობის სახელმწიფო ქონებას, უფრო მეტი ჩამოართვეს კიდევ კერძო მესაკუთრეებს, სხვადასხვა მოგონილ მიზეზით სატახტო ქალაქების დიდი გაზეთები, თუ სხვა გამოცემანი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იძულებული იყვნენ ან პროვინციაში გადაეტანათ გამოცემა, ანდა სრულიად შეეწყვიტათ.

რევოლუციის პირველ დღეებში, მაშინ, როცა ბოლშევიკების ხსენება არც ისე ხშირი იყო და ისინი ჯერ კიდევ სარდაფებში განაგრძობდნენ მუშაობას, თბილისში რევოლუციით გათამამებული მენშევიკები ნამდვილ ტერორს აწარმოებდნენ ეროვნულ მიმართულების გაზეთების წინააღმდეგ და რუსის ჯარისკაცების ხიშტებით ჰსურდათ მოესპოთ რევოლუციონური პატრიოტიზმი.

ეს ამბავი სასტიკია მოგონებისთვის; გვახსოვს მაშინ ყოველი წერილი დაშინებული ნაციონალისტებისა თავდებოდა ტრაფარეტით:

სამშობლო არ დაივიწყებს ასეთ მოპყრობასო...

მაგრამ ხდება ხანდისხან, რომ უბრალო წინასწარმეტყველებაც არ სრულდება...

მენშევიკები ეხლა ისე გრძნობენ თავს, თითქო თვითეული მათგანი ირლანდიელი პატრიოტი კეზმენტი ყოფილიყოს და საქართველოსთვის თავი შეეწიროს.

ეს მათი მოპყრობის, შემპარავი მანერებისა და ქართველების გულმავიწყობის ბრალია; მენშევიკები უფრო ჭკვიანი ხალხია და თავიანთ საქმეს ჭკვიანათ აკეთებენ. როცა კითხულობთ, ან კითხულობდით მათ ტირადებს პრესის მონოპოლიზაციაზე—ვინ იფიქრებდა, რომ საქმით ისინიც ასე აკეთებენ.

აი ნამდვილად როგორ არის საქმე: რომ არ ვიანგარიშოთ ყველა ის გამოცემები, ბროშიურები, გაზეთები, ფურცლები, მოწოდებები, პროკლამაციები, რომელნიც იბეჭდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დროს სოციალ-დემოკრატების ფირმით, დღესაც, როცა მოხდა უკვე ნაციონალიზაცია და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი უნდა გადაკეთდეს საქართველოს მენშევიკების კომიტეტად, განაგრძობენ გამოსვლას ძველი კომიტეტის ოფიციოზები რუსულ ენაზე... ამ გაზეთის თითო გვერდზე კი, როგორც შალვა ამირეჯიბის ფელეტონში იყო ნათქვამი, მთელი ყარამანიანი დაეტევა.

გაზეთი დრო-გამოშვებით გამოაცხადებს ხოლმე „პაიშჩიკების“ კრებას, ჩვენ არ ვიცით, რა წყდება ამ „პაიშჩიკების“ კრებებზე, ან როგორ იყოფენ მოგებას, მაგრამ ქაღალდი კი იმათ ეთმობათ უანგარიშოთ.

რა თქმა უნდა გაზეთ „ერთობას“ რევოლიუციის დაწყებიდან ქაღალდი არ შემოკლებია, რამდენი სოც.-დემოკრატიული კომიტეტია, იმდენი გაზეთი არის—რკინის გზის კომიტეტი ორ გაზეთს უშვებდა რუსულ და ქართულ ენაზე... და რამდენს ჩამოთვლი...

ქაღალდის ფონდს არაფერი აკლდება... იმ აუარებელ ქაღალდს, რომელიც დარჩა ძველ მთავრობას, ემატება ის, რასაც აღმოაჩენს ახალი რაზმი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრთან არსებობს და რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ ეხლა... ჩამორთმეული ქაღალდი მიდის ათასს მომარაგების კომიტეტში, აქ კი გზა არავინ იცის, გარდა მენშევიკებისა, და რომ იცოდეს კიდეც, არაფერი გამოვა. ის უკვე ერთი რიგის ხალხის დეპოზიტში არის ჩაწერილი. ამას მიუმატეთ კიდევ, რომ ს.-დემოკრატებს შეუძლიათ უანგარიშო სუბსიდიები, თუ თავის ხაზინიდან არა, ყოველ შემთხვევაში იმ 30 მილიონის „შავი დღის ფონდიდან“, რომელიც ბოლშევიკებმა გადმოგზავნეს ფრონტის ლიკვიდაციისთვის, და რომელიც ბოლოს და ბოლოს ქართული ხაზინის ხარჯით მოხდა, და თქვენ მიხვდებით რამდენი რესურსები აქვს ამ ხალხს, როგორც იერიშებისთვის, ისე უკან დასახევათ.

ეს არის ალბათ მიზეზი, რომ მარტო პოლიტიკას არ ჯერდებიან ბ-ნი მენშევიკები და უნდათ კიდევ „კაზმული ლიტერატურაც“ გაამდიდრონ; ქრონიკაში ხშირად შეხვდებით განცხადებებს მარქსისტულ ჯგუფის მწერლებს იწვევენ დიდ ტანიან ჟურნალის დაარსებისთვის, ეს კრებები ხშირათ ხდება სასახლის ზედამხედველის ბინაზე... ლიტერატურულ წრეებში ამბობენ—თუ მართლა უნიჭო მარქსისტ მწერლებმა რამე დასწერეს—სტამბის და ქაღალდის საქმე რამდენიმე წლით უზრუნველყოფილი აქვთო, თუ ჯერჯერობით საქმე ფერხდება ეს იმიტომ რომ ეს ხალხი ვერ იცლის, ზოგი ჟურნალისტი—მინისტრია, ზოგი მინისტრობისთვის ემზადება... უსაქმოთ არც ჰუმორისტულ ჟურნალის რედაქტორი დარჩა, ბ. კალანდაძე „საქართველოს დეპეშათა სააგენტოს“ გამგეა..

ამ დროს... ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს ვერ მოუხერხებია ერთი ჟურნალი, ან გაზეთი გამოსცეს, თავის შესარცხვენათ არ დაუტოვებია არც ერთი მეცენატი, რომ არ შეეწუხებინოს, მაგრამ არაფერი გამოდის. ფული მართლა რომ სადმე გამოჩნდეს გამოცემის საქმე მაინც არ მოეწყობა, კერძო ინიციატივაზე მეტია ლაპარაკი—ისეა საქმე დაყენებული, რომ ვერავინ ვერ გაბედავს დღეს თავის თავზე გამოცემა მიიღოს.

ამას ჰქვია პრესის მონოპოლია, ან და მენშევიკებისგან თავის მდგომარეობის გამოყენება.

ტ. ტ.

## მთავრობის წრეებში

ფინანსთა მინისტრის მოხსენება და კანონპროექტი მოკლე-ვადიანი სესხის შესახებ მოწონებულ იქმნეს და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს. მიენდოს ფინანსთა მინისტრს, დაამტკიცოს გერმანულ-კავკასიის ბანკის წესდება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს არსებულ კანონის და უკვე არსებულ კომერციულ ბანკების წესდებათა ფორმალურ მოთხოვნილებას.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება და კანონ-პროექტი საქართველოს მიწა-წყალზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის კანტორების გახსნის შესახებ მთავრობის მიერ, მოწონებულ იქმნა და გადაეცა პარლამენტს განსახილველად.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საქონლის გაცვლის კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ მთავრობამ დაადგინა: მიენდოს ხსენებულ მინისტრს, წარუდგინოს მთავრობას კომიტეტის შტატები.

—

სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით, ფოთში საზღვარ-გარეთიდან შემოზიდულ საქონლის გამოსყიდვის შესახებ დაადგინეს: 1) გაუქმდეს მარილის მონოპოლია, 2) დაწესდეს მარილზე ნიხრი, 3) დაევალოს ფინანსთა მინისტრს, მისცეს სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეს ფოთის ნავთსადგურის მუშების გასასტუმრებლად ნაწილ-ნაწილად საჭირო ფული.

—

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით, რუსეთის „წითელი ჯვრის“ ლიკვიდაციის შესახებ დაადგინა: 1) მიეცეს მიწად-მოქმედების მინისტრს 320,000 მან., მომარაგების კომიტეტის საშუალებიდან რუსეთის „წითელი ჯვრის“ სალიკვიდაციოდ იმ პირობით, რომ ეს ვალი გაენაღდოს მომარაგების კომიტეტს „წითელი ჯვრის“ ქონების გაყიდვით, 2) სურამის საფსიხიატრო საავადმყოფოს შენობის დამთავრების შესახებ მოეთხოვოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნა მედიკო-სანიტარულ განყოფილებისა.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით დაადგინეს, მიხეილის საავადმყოფო და საბებიო ინსტიტუტი საქართველოს უნივერსიტეტს გადაეცეს საკლინიკო სამუშაოს საწარმოებლად.

## ქრონიკა

### თბილისი.

„ნოვოსტი დნი“-ს დახურვის გამო შინ. საქ. სამ. კანცელარიის დირექტორმა საიინისტროს სახელით წერილებითი ბოდიში მოიხადა გაზ. „ნოვოსტი დნი“—ს რედაქტორის წინაშე იმის გამო, რომ ის გაზეთის გამომცემლებთან ერთად მილიციელებმა დააპატიმრეს. კანცელარიის დირექტორი განმარტავს, რომ ბრძანება იყო გაცემული მხოლოდ გაზეთის კონფისკაციის შესახებ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გაზეთში ყალბი ცნობები იყო მოთავსებული (მეცისა და სტრასბურგის ამბების შესახებ), რის მიზანიც იყო სენსაციის მიხდენა გაზეთის გასავრცელებლად.

**მილიციის უფროსის დადგენილობით დააპატიმრეს:** 3 თვით ალექსი მარტიროსიანცი ქუჩაში სიმთვრალის და საზოგადო წესიერების დარღვევისთვის; დ. კუჭაძე, ლ. ბ. თუმანოვი ქაღალდის თამაშობისთვის, პირველი 2 თითო თვით, ხოლო მე 3 ორი კვირით. 11 საათზე გვიან ვაჭრობისთვის ბახუცაძე, შაშალაშვილი, მატინოვი, როსტომოვი და მაშადი ასეეროღლი, პირველი 2 500 მანეთით დააჯარიმეს თითო მე 3 დ. მე 4 1000 მანეთით თითო, ხოლო უკანასკნელი 300 მანეთით.

საქართველოს რესპუბლიკი მთავრობის რწმუნებული, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიაში პურის შეძენა აქვს დავალებული საქართველოს ღვინობისთვის 9 პირდაპირი მავთულით იტყობინება ქ. ეკატერინოდარიდან რომ იქ ესპანურ ციებ-ცხელებისაგან გარდაიცვალა გენერალი ალექსეევი.

**რევოლიუციონურ ტრიბუნალების გაუქმების გარშემო.** იუსტიციის მინისტრის წინადადებით შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის კომისრებს, რომ რევოლიუციონურ ტრიბუნალის გაუქმება უნდა მოხდეს მხოლოდ საპროკურორო ნაწილის განკარგულებით.

**თბილისის გუბერნიის შრომის კომისარმა** ინახულა გილზის ქარხანა „პოშტა“, სადაც აღმოაჩინა 1917 წლის გიორგობისთვის 29 ის დეკრეტის დარღვევა. ქარხნის პატრონს ოქმი შეუყენა.

მიწის მზომელთა სასწავლებელში ნაციონალიზაცია შემოღებულია პირველად პირველ კლასში ჯერ-ჯერობით, მაგრამ ამ კლასში სწავლა არ დაწყებულა მოწაფეთა სიმცირის გამო. მიწის-მზომელთა სასწავლებელი, გარდა იმისა, რომ სრულ საშუალო განათლებას ანიჭებს ახალგაზრდებს, შედავათიან პირობებსაც ჰქმნის სასწავლებლად, რაც ღვევანდელ პირობებში საგულისხმოა და მისაბამი: ამ სასწავლებელში სწავლის ფასი წლიურად 50 მანეთი არის და სასწავლო ნივთეეი და წიგნებიც უფასოდ ურიგდებათ შეგირდებს.

ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიასთან 15 ოქტომბრიდან იხსნება ხაანბანო განყოფილება.

თხოვნების მიღება გრძელდება.

**კრება.** კვირას ოქტომბრის 13-ს დილის 11 საათზე დანიშნულია კრება სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციის ქართველ მოსამსახურეთა. განსახილველია საკითხები: 1) კავშირის დაარსება, 2) კავშირის გამგეობის არჩევა და 3) მიმდინარე საკითხები. დაბეჯითებით ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ. კრება მოხდება ექსპედიციის შენობაში.

ქართველ სამხედრო ექიმთა ჯგუფი სთხოვს ყველა ტფილისში მყოფ სამხედრო ექიმებს მობრძანდნენ კრებაზე დღეს ამა ოქტომბრის 11-ს საღამოს შვიდ საათზე ს.-ფედერალისტთა პარტიული ბინა, ძველი სემინარიის შენობაში ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1).

განსახილველია სამხედრო ექიმთა საზოგადო კრების მოწვევის და ამ კრების პროგრამის შემუშავების საკითხი სათანადო ნება-რთვა უკვე მიღებულია.

**გაზ. „ნოვოსტი დნი“—ს გამომცემლობამ** მთავრობის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქციას და ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინეს იმის შესახებ,რომ ღვინობისთვის 6 მილიციელებმა დააპატიმრეს გაზეთის რედაქტორ-გამომცემელნი მ. ვოზნესენსკი, მ. ხარატიანი და გრ. მაზურიკი. მილიციის უფროსს დაპატიმრება იმით აუხსნია, რომ გაზ. „ნოვოსტი დნი“-ს გამყიდველები ქუჩებში იმას ყვირიან, რაც გაზეთში არ არისო. განკარგულება შინაგან საქმეთა მინისტრისა ყოფილა. მილიციის უფროსს სამივესთვის ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ ისინი გამოცხადდებიან ჩვენების მისაცემად და გაანთავისუფლა. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელნი თავის განცხადებაში თხოულობენ, რომ ისინი დაიცვან მომავალში დაპატიმრებისაგან და გაზეთის კონფისკაციისაგან. გაზეთის ღვინობისთვის 6-ის ნუმრებს კონფისკაცია უყვეს.

**ქართული იურიდიული საზოგადოება.** 6 ენკენისთვეს, იურიდიულ საზ-ბის წევრთა საზოგადო კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება და გამგეობაში აირჩია:თავმჯდომარედ დ. კვირკველია, თავჯდ. ამხ. გ. ჩაჩიბაია, გამგეობის წევრად პროკ. ყიფშიძე, გ. ჟორდანია, ს. ჩხეიძე, ა. მებურიშვილი და არტემ ახნაზაროვი.

**სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო 1918 წლის პირველი წიგნი ჟურნალ „განათლებისა“, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. სარედაქციო კოლეგიისაგან. 2. მკითხველებისადმი ლ. ბოცვაძე. 3. საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილება 19 ნოემბერს 1917 წ. 4. ჩვენი ხალხის მომავალი კეთილდღეობა ექ. ბადრიძე. 5. ქართული მითოლოგიის საფუძვლები ვ. ბარნოვი. 6. ვინაობა სუფიქსი არ ქართულ ენაში აკაკი შანიძისა. 7. სამეცადინო გეგმა პირველ დაწყებითს სკოლებში—ლ. ბოცვაძე. 8. სამშობლო თუ კაცობრიობა? ს. გორგაძე. 9. ჰანეთში დარჩენილი ძველი გადმოცემანი და ჩვეულებანი—იოსებ ყიფშიძე. 10. ილია ჭავჭავაძე ტფილისში არტურ ლეისტი. 11. ქართული სკოლის პროგრამა. 12. გ. მ. ლასხიშვილი. მ. ბ. 13. შინაური მიმოხილვა—ვ. ობჩელი. 14. როგორი უნდა იყოს სასკოლო ქრისტომატიები? ვ. რ. 15. ნიკო ჯანაშიას ხსოვნას—ნ. ზომლეთელი. 16. ნიკო ჯანაშია (ნეკროლოგი) ვ. ბ. 17. შ. ქარაბაკი (ნეკროლოგი) X. 18. უცხოეთი ლ. ბოცვაძე. 19. ბიბლიოგრაფია: არა ორიგინიული მუნება ზალიშვილისა—რატი. 20. ალეგრა ვ. ყიფიანისა—გ. ლორთქიფანიძე. 21. ტფილისის გუბერნიის სახ. მასწ. საყურადღებოდ ვ. ბურჯანაძე. 22. სახალხო განათლების მოხსენება მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. წიგნი ღირს 3 მანეთი, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ცეცხლი ძირულის სადგურზე.** სადგურს „ძირულის“ უფროსი დეპეშით ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ ღვინობისთვის 8 ღამის 2 ს. 30 წ. უცნობმა ბოროტ გამზარახველებმა საქონლის ვაგონს ცეცხლი წაუკიდეს. ვაგონის ერთი ნაწილი ბარგით დაიწვა. მოძრაობა არ შეფერხებულა.

**შავი ზღვის რკინის გზის ქონების გაყიდვა.** ოჩემჩირის ქალაქის მოურავი ჟორჟოლიანი დეპეშით ატყობინებს გზათა მიმოსვლის მინისტრს, რომ შავი ზღვის რკინის გზის ქონება ს[illegible]ოთ იყიდება.

**ქართველ და სომეხ აფიცერთა წასვლა უცხოეთში** გენ. კონიაშვილი და შტაბის უფროსი ხარიში სახალხო გვარდიის შტაბს შემდეგს ატყობინებენ: თანახმად მთავრობის განკარგულებისა ის სომეხი და ქართველი აფიცრები, რომელებსაც სპეციალური ნებართვა არ ექნებათ არ უნდა იქნენ გაშვებული საზღვარ გარედ. ყველა ასეთი პირები დაკავებულ უნდა იქნენ და მათი გვარი საჩქაროდ უნდა შეატყობინონ სამხედრო მინისტრს.

**მობილიზაციის გარშემო.** სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ განუმარტა თბილისის მილიციის უფროსს, რომ მილიციაში, მფრინავ რაზმებში და სახალხო გვარდიაში სამსახური არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ სამხედრო ბეგარისაგან.

— რკინის გზის ტელეგრაფის უფროსის განკარგულებით რკინის გზის მოსამსახურენი, რომელნიც დღემდე უფასოდ გზავნიდნენ არა საჩქარო დეპეშებს, შემდეგში ასეთი დეპეშის გაგზავნელებმა სიტყვაზე 10 შაური უნდა გადაიხადონ.

**საგუბერნიო აგრონომის** თანამდებობის ასრულებას შეუდგა აგრონომი ი. ზ. ქურდიანი.

**მილიციის უფროსმა წინადადება** მისცა კომისრებს ყველა სავაჭროების რევიზია მოახდინონ და ვისაც ვაჭრობის მოწმობა (პატენტი) არა აქვს ოქმი შეუყენონ.

**სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად** მილიციის უფროსმა წინადადება მისცა ყველა სახლის პატრონებს კომისარიატებში შეატყობინოს მათ სახლებში რაც საწყობებია საქონლისა.

**სამხედრო სამინისტროს სტამბის უფროსმა** თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს შემდეგი აცნობა. თანახმად სამხედრო სამინისტროსადმი მთავრობის ბრძანებისა ყველა სპეციალისტი ჯარისკაცები: ამწყობნი, მბეჭდავნი, ჩამომსხმელნი, მკაზმავნი და მემანქანენი სამხედრო ნაწილებიდან, სამმართველოებებიდან და დაწესებულებებიდან სამხედრო სამინისტროს სტამბაში უნდა გაიგზავნონ. რადგანაც ამ ჟამად ბევრი სამხედრო სამსახურში გასაწვევი ზემოხსენებულ კატეგორიის სპეციალისტები თბილისის კერძო სტამბებში მსახურებს სთხოვს, რათა წინადადება მისცეს ადმინისტრაციას, აიძულონ სტამბის პატრონები, რომ ჯარში გასაწვევ ზემოაღნიშნულ სპეციალისტებს ანგარიში გაუსწორონ და სამხედრო უწყების უფროსს გაუგზავნონ ჯარში ჩასარიცხად და შემდეგ სამხედრო სამინისტროს სტამბაში გასაგზავნად.

**რკინის გზების ტელეგრაფი.** საქართველოს რკინის გზების გამგეობამ განმარტა, რომ დეპეშის უფასოდ გზავნის უფლება აქვთ ცენტრალ პროფესიონალურ გამგეობის ყველა წევრთ და სარაიონო გამგეობის თავმჯდომარესა და მდივანს.

## პარტიული ცხოვრება

საქ. ერ. დემ. პარტიის თელავის სამაზრო კომიტეტმა მოისმინა მთავარი კომიტეტის მოხსენება პარტიულ ორგანიზაციაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ, დაადგინა გამოუცხადოს თავისი გულის წყრომა და საყვედური მიხეილ მაჩაბელს და დავით ვაჩნაძეს პარტიაში დეზორგანიზაციის შეტანის და პარტიულ დისციპლინის ელემენტალური კანონების შელახვისათვის. ადასტურებს მთავარ კომიტეტის მიერ მიღებულ ზომებს და სრულ ნდობას უცხადებს მას. მადლობა იმ წევრთ, რომელთაც მხარი დაუჭირეს ამ შემთხვევაში და მათ გაჰყვნენ სასტიკი პროტესტი.

კომიტეტის თავმჯდომარე: გიორგი ციცქიშვილი.

## ქართველ ისრაელების დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს აგუდათ-ისრაელთა საზოგადოების გამგეობამ შემდეგი განცხადება წარუდგინა:

უხსოვარ დროიდან ქართველი ებრაელები სცხოვრობდნენ საქართველოში ქართველ ქრისტიანებთან ძმობასა და მეგობრობაში. ენისა და ზნე-ჩვეულების ერთობა და სამშობლოსადმი სიყვარული არ უშლიდნენ ორთავეს დაეკავებიათ თავთავიანთი სჯული და თაყვანი ეცათ თავიანთ წინაპრების სარწმუნოებისათვის. როდესაც ყველა ერებმა მიიღეს უფლება თვით გამორკვევისა და შეუძლიათ თავისუფლად მოაწყონ თავიანთი სასულიერო თემური ცხოვრება, ქართველი ებრაელები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, თავიანთ მოვალეობათ სცნობენ: იზრუნონ მათ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკის, კეთილ მომავალზე, მხოლოდ მას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და ქონება, და ყოველგვარ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი საკითხებში იარონ თავიანთ მოძმე ქართველებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი. და რაიცა შეეხება თავიანთ შინაურ სასულიერო-თემულ და კულტურულ-რელიგიურ ცხოვრების მოწყობას, ქართველი ებრაელები მტკიცედ დაადგებიან თავიანთ წინაპრების აღთქმა-ტრადიციებსა და ებრაელთა სარწმუნოების კანონებზედ; როგორც იყო აქამდის ისე უნდა დარჩეს მომავალ დროისთვისაც.

აგუდათ-ისრაელთა საზოგადოების გამგეობამ გაიგო რომ ქ. თბილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტი იწვევს საქართველოს ებრაელთა ეროვნულ ყრილობას ებრაელთა ეროვნულ საბჭოს შექმნის და სხვათა კითხვათა მოსაგვარებლათ. ამიტომ აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა ვალად რაცხს თავისთავს განაცხადოს, რომ მას (აგ. ის.), როგორც გამომხატველს ქართველ ებრაელების დიდის უმრავლესობის სურვილების, არავითარი საერთო არა აქვს ქ. თბილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტთან და სრულიად არ თანაუგრძნობს ამ უკანასკნელს, როგორც თავის ნებით და სრულებით სხვის დაუკითხავათ იკუთვნებს საქართველოს ებრაელთა ყრილობის მოწვევის უფლებებს.

ამასთანავე აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა აცხადებს პროტესტს ქ. თბილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ სახელდობრ რომ, ეს კომიტეტი, როგორც ადგილობრივი დაწესებულება უნდა მოქმედობდეს მხოლოდ თავის კომპეტენციის საზღვრებში, მაგრამ ეს ზემოხსენებული კომიტეტი ზოგიერთ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც ეხებიან ქართველი ებრაელთა ცხოვრებას, გამოდის როგორც მთელი ებრაელთა ორგანოთ და განზრახ გადადის მისი უფლების წრიდან. წარსულმა დელეგატთა არჩევნებმა სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის, რომელიც არ შესდგა პოლიტიკურ მდგომარეობის გართულების გამო, უკვე გვაჩვენეს რომ 90% მთელ ქართველ ებრაელებისამ მისცა ხმა ჩვენ საზოგადოების სიას № 9. ამიტომაც ქ. თბილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტს შეშვენოდა უფრო ფრთხილათ მოპყრობა საერთო ებრაელთა საკითხებისადმი და უფრო შემოკლებულ მაშტაბით ემოქმედა, განესაზღვრა რა თავის მოქმედების რაიონი ქ. თბილისით.

ვაცხადებთ რა პროტესტს თბილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ, აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა თა-

ვის მხრით ისხნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მათ მიერ მოწვეულ ებრაელ ყრილობისას ქ. თბილისში.

აგუდათ ისრაელთა საზოგადოება ქართველ ებრაელთა სახელით გულწრფელად მიულოცავს საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლითაც ქართველ ებრაელებს ეძლევა საქართველოს პარლამენტში ორი ადგილი, რომლებსაც სულ ახლო მომავალშიდ დაიკავებენ ჩვენი წარმომადგენელნი, ამიტომ ვთხოვთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს არავითარ ფორმაში არ გადასცეს ქართველ ებრაელთა ადგილები იმ დელეგატებს, რომლებსაც წამოაყენებს ის ვითომდა ეროვნული ყრილობა, რომელსაც იწვევს თბილისის ებრაელთა ეროვნული საბჭო, მით უმეტეს, რომ, რამდენათაც ჩვენ ვიცით ასეთი საბჭოები ქართველ ებრაელებში რულიადაც არ არსებობენ.

გამგეობის თავმჯდომარე: მარდახ ფიჩხაძე. მდივანი: ი. ციციაშვილი სასულიერო მმართველობა: ისხაკ გაგულაშვილი, ა. ბუზიაშვილი. ქუთაისის ებრაელების რაბინი რეუბენ ელუაშვილი. თანაშემწე ქუთაისის ებრაელების რაბინისა მოშე რიჟინაშვილი.

# სომხეთის კაბინეტის კრიზისი

გუშინ ჩვენ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა სომხეთის კაბინეტის კრიზისის შესახებ. ამ ჟამად თბილისში უფრო დაწვრილებითი ცნობები მოვიდა. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ სომხეთის მინისტრ-პრეზიდენტმა კაჩაზნუნმა ოფიციალურად განუცხადა სომხეთის პარლამენტის სენიორენ-კონვენტს რომ სომხეთისათვის აუცილებლად უნდა შეიქმნას კოალიციური სამინისტრო.

წინასწარ შეთანხმებით, თვითეულ ფრაქციას ორ-ორი პორტფელი ერგება. პორტფელები კი ასე დანაწილდება: შინაგან საქმეთა, გარეშე საქმეთა, ფინანსთა, სახალხო განათლებისა, ლტოლვილთათვის და იუსტიციისა. ამ შეთანხმებით მინისტრ-პრეზიდენტად იქნება დაშნაკელი, სამხედრო მინისტრად უპარტიო და ნამდვილი სამხედრო კაცი. ხოლო რომელი პარტია, რომელ პორტფელს აიღებს, ეს გამოურკვეველია. სოციალ-დემოკრატებს კი თვალი უჭირავთ შინაგან საქმეთა დ განათლების პორტფელებზე.

# სისტემატიური ქურდობა

მომარაგების კომიტეტის ცენტრალ საწყობის გამგემ შეჰნიშნა, რომ საწყობში ქურდის ხელი მუშაობდა. ღვინობისთვის 3-ს საწყობიდან წაიღეს იოდის კალიის 2 კილოგრამა. სულ წაღებულია 50,000 მანეთისა. სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ქურდები. ესენი გამოდგნენ საწყობის მოსამსახურენი: მ. ოჰანეზოვი, გ. ავეტიქოვი, ქ. კუხარევი, შ. და ქ. გოგუა და მ. ტომარიძე. ყველანი დაიჭირეს. მათ ბინებზე მოპარული ნივთები აღმოჩნდა.

# ბაქოელ ბოლშევიკთა დაპატიმრება კრასნოვოდსკში

ბაქოს გაზეთი „კასპი“ იუწყება, რომ ბაქოს აღებისას ბაქოელი ბოლშევიკები კრასნოვოდსკში ჩავიდნენ. სათბობი მასალის გამოლევის გამო იარაღით და ზარბაზნებით დატვირთულ ორთქლმავალით მიადგნენ კრასნოვოდსკს და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს სთხოვეს სათბობი მასალა. კრასნოვოდსკი ამ ჟამად რკინის გზის მსახურთა და თურქმენთა ხელშია. იგინი ებრძვიან თურანის ბოლშევიკებს. გაიგეს რა რომ ორთქლმავალზე არიან: შაუმიანი, ჯაფარიძე, აზაკიანი და სხ. რიცხვით 30 კაცი. გადასწყვიტეს მათი დაჭერა. კრასნოვოდელები დაჰპირდენ სათბობის მიცემას და ამასთან ზომები მიიღეს მით დასაჭერად: ორთქლმავალს დაუმიზნეს ზარბაზნები და ყველა მხრიდან გარშემოერტყნენ. დილით ბოლშევიკებმა გაიგეს რომ მოჰყვნენ ხაფანგში. იგინი იძულებულნი გახდნენ დასთანახმებულიყვნენ კრასნოვოდსკის აღმასრულებელ კომიტეტს, მან კი ყველანი შეიპყრო და ციხეში გაჰგზავნა.

# ნავთი საქართველოსთვის

საგარეო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა: პირველად ნავთი საქართველოს რკინის გზებისთვის გამოიგზავნოს, ხოლო რაც შეეხება საქართველოს ნავთით უზრუნველყოფას, ეს საკითხი გადადებულია იმ დრომდე, სანამ ბაქოში ჩავიდოდნენ საქართველოს წარმომადგენელთა კომისია.

# კახეთის ნავთი

ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა კახეთის ნავთის შესახებ. ამ საკითხის გამო ამ დღეებში გეოლოგმა ს. ციციშვილმა მოხსენება წაიკითხა ილდოკანის ნავთზე.

ილდოკანი თელავიდან 36 ვერსზეა და თიანეთიდან დაშორებულია 14 ვერსით. ნავთი ამოდის ს. ილდოკანის ახლოს უღრან ტყეში. ომამდე აქ ამუშავებდა ინგლისელთა კომპანია, რომელთაც ხუთ ადგილას გაჰხვრიტეს მიწა და ჰფიქრობდნენ საქმის გაფართოებას.

ახლა, სამრეწველო ადგილის დათვალიერების შემდეგ გამოირკვა, რომ ხვრელები ნავთითა და ქვებით არის სავსე, მხოლოდ ერთი იყო დაცული დიდი ხის საცობით. ახლა ნავთის წარმოება დაიწყეს № 3 ხვრელიდან, დანარჩენები იწმინდება. აქ ნავთი გამოულეველი იქნება, რადგანაც მისი ძარღვი მრავლად სჩქეფს. ილდოკანის ნავთი საშუალო წონითაა 0,855, არის მაღალ ხარისხისა და თვისებით თუ ფერით ძალიან წააგავს სურახანის ნავთს. იგი 15 პრ. შეიცავს ბენზინს, რაც მეტად საგულისხმოა ავტომობილიზმისათვის და სხვა.

ერთად ერთი ნაკლი ილდოკანის ნავთის არი ის, რომ მასში ურევია პარაფინა, რის გამოც ცივ ამინდში ნავთის ამოღება ძნელია. ჯერ ყოველდღიურად ამოდის 1,000 ფუთი ნავთი. ნავთი ინახება საგანგებო ბეღელში, აძევს ტრანსპორტი რკინის გზის სადგურამდე.

ამას წინედ, ილდოკანის ნავთის რამდენიმე ბოჭკა თელავს ჩაიტანეს ელექტრონის სადგურისათვის. ხალხი მიესია და სახლებისათვის დაიტაცა. ამ ჟამად იმართება ავტომობილების რაზმი თბილისში ნავთის გადმოსაზიდათ. ადვილად შესაძლებელია ავტომობილებმა ილდოკანის ბენზინით ისარგებლონ.

# „დიდების ტაძრის“ შენობის საკითხი

საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისიამ დაადგინა: რადგანაც „დიდების ტაძრის“ შენობა, გოლოვინის პრ., ხელოვნების საჭიროებისათვისაა აშენებული, იგი გადაეცეს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას სამხატვრო გამოფენების მოსაწყობად და ეს დადგენილება სამხედრო მინისტრს ემცნოს შესაფერ განკარგულების მოსახდენად.

# საქართველოს რუკა.

თბილისში მივიღეთ ბერლინში გამოცემული გერმანიული ენაზე საქართველოს რუკა, რომელზედაც ჩვენი სახელმწიფო საზღვრები ასეა აღნიშნული: შავი ზღვის ჩრდილოეთის სანაპიროებზე საზღვარი იწყება ტუაფსიდან, მოდის აღმოსავლეთით კავკასიონის ქედის მწვერვალებზე და ებჯინება ნუხის მაზრის ძველს ადმინისტრატიულ საზღვარს (მაშასადამე, მთელი ზაქათლის ოლქი საქართველოს ტერიტორიაზე რჩება), საზღვარი ეშვება ელდარზე იერთებს ყაზახისა და ბორჩალოს მაზრებს და გადადის სამხრეთით სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ მიჯნებზე (ახალ-ქალაქისა და ახალ-ციხის მაზრები) მაქედან საზღვარი თითქმის პირდაპირის ხაზით ებჯინება შავს ზღვას ბათომის ჩრდილოეთით...

ეს რუკა რომ შევადაროთ ამას წინად ჩვენი შტაბის ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ გამოცემულ რუქას, დავინახავთ, რომ გერმანიაში უკეთესი წარმოდგენა ჰქონიათ საქართველოს საზღვრებზე და მის აღმოსავლეთ საზღვარზე განსაკუთრებით.

# საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობისათვის

ბალკანეთის ამბები ერთხელ კიდევ საერთაშორისო ყურადღებას იპყრობს. ორივე მოპირდაპირე კოალიცია არ ფარავს, რომ ამ ამბებს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნება ეძლევა, რომელსაც უსათუოდ უნდა მოყვეს ღირს-შესანიშნავი შედეგები.

ჩვენის აზრით ბულგარეთისაგან საგარეო პოლიტიკის კურსის რადიკალურად შეცვლა და მასთან ერთად დასავლეთის ფრონტზე გაცხოველებული სამხედრო ოპერაცია სავსებითარსწყვეტს ომის საკითხს,ამით მხოლოდ იქმნება ახალი ფაზა საერთაშორისო პოლიტიკაში. ჩვენი ერი ახლად შესისხლხორცდა სახელმწიფოებრივი ფორმაში, ის შედარებით სუსტია და შინ და გარეთ გართულებულ პირობებში უწევს მოქმედება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩვენი პოლიტიკა უმთავრესად გარეშე ძალთა განწყობილებას ემყარება ადვილი მისახვედრი იქნება თუ რათ უნდავეპყრობოდეთ ციდის სიფრთხილით ძალთა ახალ გადაჯგუფებას.

მომხთარი ამბები, როგორც ბალკანეთში ისე დასავლეთის ფრონტზე არ წარმოადგენენ მარტოოდენ სამხედრო სტრატეგიულ კრიზისსა. რომ ეს ასე იყოს მისი ლიკვიდაცია შედარებით გაადვილდებოდა და ცენტრალურსკოალიციას შეიძლება უმტკივნეულოდაც აეცდინა მოწინაალმდეგეთა ასეთი მოულოდნელი სარმა. სამწუხაროდ, უკანასკნელი ხნის სამხედრო და დიპლომატიური მოვლენანი უმფრო სიმპატიური ხასიათისაა და მათი ახსნა და გაგება შინაგან ძალთა განწყობილებაში უნდა ვეძიოთ. კრიზისი უმთავრესად უსათუოდ ცენტრალურ სახელმწიფოებს პოლიტიკურ - ეკონომიურ მდგომარეობის გართულებით არის გამოწვეული.

ომის დაწყებიდანვე ორივე მოწინააღმდეგე ძალთა შეფასების დროს ცნობილი იყო, რომ ოთხთა შეთანხმებას მეტი ეკონომიური, ფინანსიური და სამხედრო რესურსები ჰქონდა, ვინემ ცენტრალურს კოალიციას. ხოლო უკანასკნელის გეოგრაფიული მდგომარეობის უპირატესობა, სამხედრო ძალების შესანიშნავი მომზადება და უაღრესად განვითარებული ტეხნიკა ჰქმნიდნენ მოწინააღმდე ძალების ნეიტრალიზაციას და დიდხანს მართლაც ძნელი იყო სწორ-წონიანობის რადიკალურად დარღვევა. რუსეთის რევოლიუციამ ფრთები შესხა ცენტრალურ სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებს, რომელნიც ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ამით მოხდა ძალთა განწყობილების მათდა სასარგებლოდ შეცვლა. მაგრამ იმედები გაცრუვდა. ცხოვრების მსვლელობამ არ გაამართლა მათი წინათგრძნობა. ბრესტის ხელშეკრულობამ ვერ ჩამოაგდო მშვიდი და კეთილ-მეზობლური განწყობილება რუსეთთან, პირიქით რუსეთში შეიქნა ისეთი ანარქიული მდგომარეობა, რომ ამ ვებერთელა ქვეყნის მდიდარი რესურსების გამოყენება ცენტრალურ კოალიციისაგან ყოვლად შეუძლებელი გახდა. მეორე მხრით აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობამ და საზოგადოდ გერმანიის პოლიტიკამ აღმოსავლეთში შეთანხმებისმდგომარეობაუფრო გაართული და ამით საბაბი მისცა ამერიკის შერთებულ შტატებს, რომ მეტის აქტივობით ჩარეოდენ ომის საქმეებში და მიეღოთ თავის თავზე ისეთი სამხედრო ტვირთი, რომელიც მის ფინანსიური და ეკონომიური ძლიერებას შეეფერებოდა.

რაც მეტად ფართოვდებოდა გერმანიის და მისი მოკავშირეების გავლენა აღმოსავლეთით, მით უფრო ღვივდებოდა და ძლიერდებოდა ოთხთა შეთანხმების წრეებში სურვილი საბოლაოთ გამარჯვებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის აშკარა იყო, რომ მათ მოელოდა დიდი ფინანსიური და ეკონომიური კატასტროფა, რომლის გამოსწორება ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა გამარჯვებული გერმანიის გვერდით გასაკვირალი არ არის, რომ ასეთი პრესპექტივების წინაშე ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა სავსებით გამოიყენეს მთელი პოტენციური ენერგია. ხოლო თუ მეორე მხრით გერმანელების და მათი მოკავშირეების ენერგია ოდნავ განელდა, ესეც ადვილი ასახსნელია. ხანგრძლივ პატრიოტულ აღფრთოვანებასა და სამხედრო ენტუზიაზმს ბუნებრივად ერთგვარი რეაქცია უნდა მოჰყოლოდა: მით უმეტეს, რომ გერმანიას თითქმის მთელმა კაცობრიობამ გამოუცხადა ომი.

დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ გერმანიაში გადაჭარბებული იმედებით გათამამებულმა მხედრულმა დიპლომატიამ შეუფერებელი, მეტად ამაღლებული ტონი აიღო, რამაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენა ცენტრალურ კოალიციას, ვიდრე უბადლო ტანგებმა.

ჩვენ არ ვიცით როგორი მსვლელობას მიიღებს ბულგარელების მიერ, ჩამოგდებული დროებითი ზავი. მიიღებენ ისინი ამ ნაბიჯით სეპარატიულს ზავს, თუ გერმანიის მხედრობა ასე თუ ისე შესძლებს ამ უსიამოვნო ინციდენტის ლიკვიდაციას. ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური კოალიციის გამრთელება ამიერიდან საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მფარველ იმპერიის პოლიტიკურ ჰორიზონტზე შავი ღრუბლები გამოჩნდენ. გერმანიის განსაცდელი ჩვენი განსაცდელი არის. უმწეო მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეთ, საჭირო სანამ დაგვიანებული არ არის ყველა ეროვნული ცოცხალი ძალები დავრაზმოთ და დავაკავშიროთ, შეიძლება მთლიანი ენერგიის ამოქმედებით ჩვენი სამშობლო დავიხსნათ მოსალოდნელ განსაცდელისაგან.

კ. ს.—ძე.

# გეგეჭკორის მოხსენება ეკატერინოდარში

ეკატერინოდარში ყოფნის დროს მოქალაქეთა ყრილობაზე გეგეჭკორმა წაიკითხა მოხსენება, რომელიც არკვევს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. მოხსენებამ დიდი ხალხი მოიკრიბა, განსაკუთრებით ს.-დ. და ს.-რევოლიუციონერები. რუსთა დევნის შესახებ საქართველოში გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ეს უსინიდისო სიცრუეა და გამოწვეულია ზოგიერთ რუსის მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნით. საქმე იმაშია, რომ თბილისში არის მრავალი დაწესებულება, რომელნიც მთელს კავკასიას ემსახურებიან. სამეფისნაცვლო მისივე მართველობით, სამოსამართლო პალატა, საინტენდანტო და მრავ. სხ. მათი შენახვა შეუძლებელი იყო საქართველოსათვის, რომელიც ძველ კავკასიის ორ გუბერნიას შეადგენს. ეს დაწესებულებები დაიშალა და მათი მოსამსახურე რუსები დაითხოვეს. მათთან ერთად დაითხოვეს ქართველებიც. სალიკვიდაციო ყველას დაურიგდა. მაგრამ ეს ფული თბილისის სიძვირეში რასაკვირველია, არ ეყოთ და მათი მდგომარეობა აუტანელი გახდა. ასევე დაემართა რუსაფიცრებს. როდესაც რუსეთში აფიცერთა დევნა დაიწყეს, მრავალი აფიცერი კავკასიას შეეფარა. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ უმსახურიათ, მაინც ეძლეოდათ შესანახი ფული. და რადგანაც აუტანელი გახდა მთავრობისთვის მათი შენახვა, მათაც იგივე ბედი ეწვიათ. და ალაპარაკდნენ აფიცერთა დევნაზედაც. ლაპარაკი მეტია იმაზედ, რომ საქართველოს ყველა რუსები თითქოს სამხედრო ტყვეებად გამოეცხადებინოს.

გერმანელთა შესახებ მომხსენებელმა სთქვა, რომ ისინი სულაც არ ერევიან საქართველოს შინაურ საქმეებში, მხოლოდ სარგებლობენ საქართველოს რკინის გზით ჯარის გადასაყვანად.

ოპონენტად გამოვიდა თბილისის კარგი მცოდნე ბერეზოვი, მან სთქვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიამ ჩაიდინა დიდი შეცდომა როცა თავისთავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. მოხალისეთა შესახებ მან სთქვა, რომ უნდა ვისარგებლოთ ამ სამხედრო ორგანიზაციით ერთიან რუსეთის შესაქმნელად.

მოხსენების ყველა ძირითადი დებულებანი ყრილობამ ერთხმად მიიღო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

**ოქტომბრის 7**

საღამოს დეპეშები

**მოსკოვი.** სექტემბერის 7. ც.-აღ. კომიტ. ბეჭვდითი ბიუროს ცნობები. სამარა ჩვენმა ჯარმა აიღო. ტაგილის მიმართულებით ჩვენ სად. დონაეპოგო დავიჭირეთ. ოსინის მიმართულებით ავიღეთ იანაული. ურალის ასპარეზზე ჩვენამა მთელი რიგი სოფლებისა აიღეს, წამოიყვანეს ტყვეები და ხელთ იგდეს ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები. სამხრეთის ასპარეზი: კასპიის სანაპიროზე ნავთსადგურის ბრიანსკი მიდამოებში მტერმა დესანტი გადმოსხა. ბერლინი. 6 ოქტომბერი. გერმანიისა და ავსტრიის მთავრობამ მიმართეს ნეიტრალ სახელმწიფოებს და ვილსონს თხოვნით დაიუყოვნებლივ დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ ყველა ფრონტეზე: ზღვებზე, ხმელეთზე და ჰაერში. ბერლინი. ოქტომბრის 7 ქ. სოფიის 4 კილომეტრის სიშორეზე ბრძოლა სწარმოებს. რევოლიუციონერებს განუწყვეტლივ მოსდით მაშველი ჯარები. ბერლინი 7 ოქტომბერი. მთელი ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ-ღა ზავზე სწერენ. რეიხსტაგის სხდომაზე ახლად დანიშნულმა კანცლერმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა საზავო მოლაპარაკების შესახებ. *) რეიხსტაგის სხდომები რამდენიმე დღით გადასდეს. დამოუკიდებელნი წინააღმდეგნი იყვნენ. იმპერატორმა ვილჰელმმა მოწოდებით მიჰმართა ლაშქარს და ფლოტს, რომელშიაც საყვარელ სამშობლოს დაცვაზე ლაპარაკობს. ვენა. ოქტომბრის 7. იტალეთის პარლამენტი გაიხსნა. ორლანდომ აღფრთოვანებული სიტყვა წარმოსთქვა. კიევი. 7 ოქტომბერი. გერმანელები უარსჰყოფენ გავრცელებულ ხმებს, ვითომც მათ უკრაინიდან ჯარი გაჰყავთ. უკრაინის სამხედრო სამინისტრო საჩქაროდ იმუშავებს ლაშქრის შექმნის პროექტს.

**გერმანულ პრესის 8 ოქტომბრის ცნობა.** ოსმალეთის მთავრობამ გერმანიასთან და ავსტრო-ჰუნგრეთთან ერთად სამშვიდობო წინადადებით მიჰმართა ვილსონს ისპანიის საშუალებით. კამბრე იწვის. მას მტერი სასტიკად უშენს.

**საერო კრების მოწვევის გადადება**

**სოფია.** ოქტომბრის 8. საერო კრების მოწვევა 15 ოქტომბრამდის გადაიდო. ამ დროისათვის დაიწყობა მუდმივი სხდომები პარლამენტისა.

*) კანცლერის სიტყვა სავსებით მოთავსებული იქნება ხვალინდელს ნომერში. **რედ.**

## ომი

## დასავლეთის ფრონტი.

**ფრანგული ცნობა**

**პარიზი,** ღვინობისთვის 9. სამხედრო ცნობა. (ეიფელის რადიო-სადგურიდან) ძლიერმა იერიშებმა, რომელთაც რამდენიმე დღის განმავლობაში ფრანგ-ინგლისელები აწარმოებდნენ სენ-კანტენის ჩრდილოეთით და სამხრეთით, გერმანელებს უკან დაახევინეს ამ ოლქში ფრანგის ჯარები სომის და უაის შუა დაედევნენ გერმანულ არიერგარდებს. მტერი ზოგან გატეხეს და ტყვებიც მოლალეს. ლე-კატოში ფრანგები ინარჩუნებენ ეტავის ტყეს და სოფ. ვოტრუს სამხრეთით ფრანგები გადავიდნენ ფოიკომზე და მარსი აიღეს. ჩრდილო ნაპირზე ფრანგებმა გეზიერ-სეურ-უაზი აიღეს. სენ-კანტენიდან 8 კილომეტრით წაიწიეს. დღემდე ფრანგებმა 2000 ტყვე წამოიყვანეს. არნის ჩრდილოეთით კორუას მიმართულებით ფრანგებმა გერმანელთა იერიშები მოიგერიეს. მდ. ენის ღელეში ფრანგთა შეტევებმა შეტევებს მიაღწია ფრანგებმა აიღეს სოფ. გონ-შეუტენი და ლანკონში. ამას გარდა ჩრდილო ნაპირზე სენუკი დაიჭირეს. 600-ზე მეტი ტყვე წამოასხეს და სურსათ-იარაღიც საკმაოდ მოზიდეს.

## პალესტინის ასპარეზი

**კონსტანტინოპოლი,** ღვინობისთვის 9. სამხედრო ცნობა. სამხარ ასპარეზებზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

## იტალეთის ასპარეზი

**ვენა,** ღვინობისთვის 9. სამხედრო ცნობა. იტალიური საარტილერიო ბრძოლა მეტად გამწვავდა. მადონის ველზე ერთან და გრენტის აღმოსავლეთით ქვეითი ომიც გაჩაღდა.

**ბალკანეთის ასპარეზი**

ალბანეთში ფრანგ-სერბიული ჯარები შევიდნენ ჩვენგან დაცლილ ელბასენში. სამხრეთ ძველ სერბეთში საომარი მოქმედება შესწყდა.

**დასავლეთის ასპარეზი**

ვერდენის გუშინდელ მძიმე საალყო ბრძოლაში ბრწყინვალე მონაწილეობას იღებდა ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარების ფელდმარშალ-ლეიტენანტი მეტცგარი.

**ბერლინი.** ღვინობის. 9. სამხედრო ცნობა. კამბრესა და სენ-კონტენის შუა ბრძოლა გაცხოველდა. არტილერიის, ტანკების და საჰაერო ესკადრის საშუალებით ფრანგ-ინგლისელებმა ამერიკელებთან ერთად იერიში მოიტანეს ჩვენს ასპარეზზე კამბედონ სენ-კონტენამდე. ჩრდილო-ფრთაზე ბოხენთან მტრის გაფთრებული იერიშები მოვიგერიეთ. აქ საღამოთი მტერი დამარცხდა. ლე-კატოსკენ მიმავალ შოსეს ორივ მხარეს მტერმა ჩვენი ხაზები გაარღვია. სამხრეთ ფრთაზე მტერმა მცირე ადგილი იშოვა. განტ-ბრეხენის სამხრეთით მტრის იერიშებს გულმაგრად შევხვდით. მონ-ფრენსუა-ლეგრონდის დასავლეთ კალთებზე თვისი ფლანგი გადიტანა შამპანებში ფრანგ-ამერიკელებმა სიჟიპის და მდ. ენის დასავლეთით ახალი იერიშები მიიტანეს. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში მტერმა შედეგებს ვერ მიაღწია. მაასის აღმოსავ. ნაპირზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერმა იერიშები მოიტანა ბრამანტის და ორნის შუა. კუზენვუას ტყეში შეჭრილი მტერი შევაჩერეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ჩვენი მოწინავე სამხედრო ხაზების წინ მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**ბერლინი.** ღვინობისთვის 9. საღ. სამხ. ცნობა. კამბრესა და სენ-კანტენის შუა საომარ ასპარეზზე ჩვენ გადაველით ზურგის პოზიციებზე და ამასთან ერთად დავტოვეთ კამბრე. შამპანებში კერძო ხასიათის [illegible] მაასის ორივ ნაპირებზე [illegible] შები გააჩაღა.

## საზავო ნოტის პასუხი

**ბერლინი.** ღვინობისთვის 10. სტატს-სეკრეტარმა ლანსინგმა შვეიცარიის რწმუნებულს გერმანეთის საზავო ნოტის პასუხი გადასცა.

**დიდი აფეთქება**

**ნიუ-იორკი.** პარასკევს საღამოთი „ნიუ-ჯერსში მოხდა ყუმბარათა საწყობის აფეთქება. მთავრობამ განკარგულება გასცა რათა მის გარშემო 10 მილის სივრცე გასწმინდონ. ცეცხლი იმდენად ძლიერია, რომ მასთან მიახლოება შეუძლებელია. ოლქიდან 60.000 მცხოვრებელი ივლტოდა. ქუჩები სავსეა გამოქცეულთა ურმებით, რომელნიც სავსეა დაჭრილებით. აფეთქების ხმა ნიუ-იორკში ჩავიდა. მისი ხმა საარტილერიო ბრძოლის ხმას ჰგავდა.

**საზავო ნოტები.**

**ვაშინგტონი.** შვეიცარიის ელჩმა პირადათ გადასცა პრეზიდენტ ვილსონს მის სახელზე გამოგზავნილი გერმანული ნოტა. გუშინ დილით შვეციის ელჩმა გადასცა ბურიანის ნოტა. შვეიცარიის ელჩმა გერმანული ნოტა გადასცა სტატს-სეკრეტარს ლანსინგს.

ვილსონისთვის გაგზავნილ ნოტაში გერმანული ნოტა ბერნიდან გაგზავნილია 6 ღვინობისთვეს და შაბათს ვაშინგტონში მიიღებენ. ამბობენ, რომ ხუთშაბათამდე, სანამ რაიჰსტაგი შეიყრებოდეს, პასუხს მიიღებენ.

**მფრინავი ჰაროხი.**

**ჰაროში.** მფრინავი პაროსი, რომელიც ამას წინად გერმანეთიდან ივლტოდა და მზვერავთა საქმეში მოქმედებდა, აღარ დაბრუნებულა.

**ინგლისელები გერმანეთზე**

**ლონდონი.** რაც შეეხება გერმანეთს (პრუსია) ავსტრიას, ისე უნდა მოვექცეთ ჰწერს „დეილი-მეილი“ როგორც ბულგარეთს, თუ გერმანეთის ხალხი გულწრფელია და ჰსურს უწყოდეს გარანტიები, რომელთაც ჩვენ მოვითხოვთ, ისინი უნდა გამოითქვას ორი სიტყვით: „უსაციღო კაპიტულიაცია“.

**ტრეპოვის დახვრეტა**

**სტოკჰოლმი.** პეტროგრადიდან მოსული ცნობით დაუხვრეტიატ მინისტრთა საბჭოს ცნობილი თავმჯდომარე ტრეპოვი.

# მე-4- სამხედრო საბეითლო ყრილობა საქართველოს ლაშქრისა

ბ-ნ სამხედრო მინისტრის ნებართვით იყო მოწვეული სამხედრო ბეითალთა ყრილობა 16 ენკენისთვეს. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1) რეორგანიზაცია სამხედრო საბეითლო საქმის ლაშქარში თანახმად მიღებული შტატებისა, 2) ზომები ქოთაოს და გადამდებ ავადმყოფობის წინააღმდეგ და 3) განხილვა და მოქმედება სამხედრო საბეითლო განყოფილებისა.

პირველი ორი საკითხი გაირჩა და შემუშავდა ქოთაოსთან და გადამდებ ავადმყოფობასთან საბრძოლი ზომები. მესამე საკითხი გამწვავდა და გამოიწვია ყრილობის ერთხმად აღშფოთება მით, რომ გამგეობას და განსაკუთრებით—გამგეობის უფროსს არაფერი გაუკეთებია. ჩვენ ვიცით, რომ მთავრობისაგან იყო გამოცხადებული ცხენების მობილიზაცია, მაგრამ ბ. განყოფილების უფროსს, ნაცვლად იმისა, რომ დახმარება გაეწია მობილიზაციის კომისიისთვის და ამგვარათ ხელი შეეწყო—დახმარებოდა სახელმწიფოს აღმშენებლობაში, თურმე აძლევდა ცრუ მოწმობებს ცხენების განსათავისუფლებლად. ამ განთავისუფლებულ ცხენებს სწერდა სამხედრო საბეითლო განყოფილების სახელზედ. ასეთი ცრუ მოწმებები ჯერჯერობით იქმნა დაჭერილი ორი ცალი თანაშემწისაგან და წარედგინა სამხედრო მინისტრს ზომების მისაღებათ.

მოხსენება გაუკეთა ყრილობას განყოფილების უფროსის თანაშემწემ, რომელმაც მკაფიოდ დაასურათა უფროსის მოქმედება საბეითლო დარგში.

მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილი იქმნა შემდეგი დასკვნა: 1) ასეთი პირი მავნებელია სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის და ჩირქს სცხებს მთელ სამხედრო საბეითლო კორპორაციას. ყრილობამ სცნო საჭიროდ, რომ ეს საქციელი უფროსისა ემცნოს ბ-ნ სამხედრო მინისტრს ზომების მისაღებად.

2) გაძევებულ იქმნას სამხედრო საბეითლო წრიდან და ეს დადგენილება ემცნოს სამოქალაქო ბეითალთა უწყებას.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად იქმნა ერთხმად არჩეული ორი დეპუტატი: უფროსი ბეითალი ი. ქუთათელაძე და უმცროსი—წერეთელი.

უფროსი ბეითალი **ი. ქუთათელაძე.**

# ბათომში

თბილისში მიღებულია წერილი ბათომიდან 5 ოქტომბრის თარიღით აღნიშნული, სადაც მრავალი საყურადღებო ცნობაა ბათომის შესახებ.

**ოსმალეთის მთავრობა და საქართველოს წარმომადგენელი**

ამ ჟამად ბათომიდან შეუძლებელია გასვლა, რადგან სათანადო ნებართვას ოსმალონი არ იძლევიან. ამასთან ერთად არც საქართველოს კონსულსა და ოსმალეთის მართველობასთან არის დამყარებული კარგი განწყობილება. ყოფილი კონსული ბ. აღნიაშვილი, ოსმალეთის მთავრობამ არ იცნო. ხოლო ახალი სამხედრო წარმომადგენელი ჩამოვიდა აბდულ ქერიმ-ფაშის სარეკომენდაციო წერილით და ესსად-ფაშის მიერ თავაზიანად იქმნა მიღებული, მაგრამ როდესაც იგი თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა, ადგილობრივმა ვალიმ იგი არ იცნო და კატეგორიულად განაცხადა უარი მის მიერ გაცემულ მოწმობათა დამოწმებაზედ. ამის გამო საქართველოსა და ბათომს შორის ურთიერთობა ფრიად დაბრკოლებულია.

**ესსად ფაშის წასვლა**

ესსად-ფაშა თავის შტაბით სტამბოლში მიდის. მისი წასვლა ამ ერთ კვირაშია განზრახული. ჯარის ნაწილი კი თანდათან იგზავნება ოსმალეთში, მაგრამ ქალაქი მაინც სავსეა ასკერებით და ოსმალო ოფიცრებით.

**მცხოვრებთა აღწერა**

23 ენკენისთვეს მოხდა მცხოვრებთა საერთო აღწერა, რასაც ოსმალონი სურსათის მოწესრიგებით ხსნიდნენ. ამ დღეს სასტიკად აკრძალული იყო გარეთ გამოსვლა; უბნებში დადიოდნენ ოსმალო ოფიცრები და მცხოვრებლებს ართმევდენ ფურცლებს, სადაც აღნიშნული იყო სხვათაშორის, ეროვნება, დრო და მიზანი ბათომში ჩამოსვლისა, რაიც ძალიან ნაკლებად არის საჭირო სასურსათო სტატისტიკისათვის. ოფიცრები დაურიდებლათ შედიოდენ სახლებში და ყველას აიძულებდენ ამ ცნობების მიცემას. ტრაპიზონიდან აღწერისათვის არიან გამოწერილნი ბერძნები. ამბობენ, რომ მათი გადასახლება სურთ.

**სურსათი**

სურსათი ბათომში ამჟამად საკმაოა. შავი პური გირვანქა ღირს 3 მ., თეთრი 5 მ. 50 კ., კარაქი 16 მ., კვერცხი 70 კ., შაქარი 11 მან., ფეხსაცმელები 200—300 მანეთამდე.

**ბათომის ქუჩები**

ყველა ქუჩების სახელები გაუგებელი არიან და მარინეს პროსპექტის და დუნდუკოვო-კორსაკოვის ქუჩის გარდა ყველანი დანომრილი არიან როგორც ამერიკაში. ბულვარის გასწვრივ ქუჩები აღნიშნული არიან ლუწი ნომრებით, იოიბათ კენტი ნომრებით.

**ფ უ ლ ი**

ამიერკავკასიის ბონები აკრძალულია ხმარებაში. აკრძალვას სპეკულაციით ხსნიან, რადგან ოსმალო ლირას ბათომში 16 მანეთად ყიდულობდენ და აზერბეიჯანში ამიერ-კავკასიის ბონებზედ 22 მან. სცვლიდენ, მაგრამ ბონების აკრძალვამ წარმოშო რუსული ფულით სპეკულიაცია, რომელიც 30, 35 პროც. მეტად იყიდება და აუარებელია ბათომში.

**რ უ ს ე ბ ი**

რუსები მატორიანი ნავებით მრავლად მიდიან ტუაპსე-ნოვოროსიით რუსეთში. ამტკიცებენ, რომ ყოფილ ტყვეთ მყოფი ოფიცრები უკანასკნელ დრომდე იღებენ ჯამაგირს ოსმალოს მთავრობისაგან რუსეთის ინტერესების წარმომადგენლათ. რუსთა ეროვნული საბჭოა ცნობილი. სხვა სახელმწიფოთა კონსულებისაგან მხოლოდ ერთია ცნობილი—უკრაინის, რომელიც მოკლე ხანია რაც ჩამოვიდა.

ბათომში ამ ჟამად არც ერთი გაზეთი არ გამოდის, არც თათრულ გაზეთებს იღებენ. ცნობების ერთად ერთი წყარო არის ოსმალოს დეპეშათა სააგენტოს მილლის დეპეშები, რომელნიც ყოველ დღე იბეჭდებიან.

ესე მიმდინარეობს ბათომის ცხოვრება. მცხოვრებლები განაგრძნობენ ცხოვრებას, მაგრამ ქალაქში, პორტში და ბულვარში სიცოცხლის ნიშან წყალი აღარ არის.

# უცხოეთის ამბები

## რუსეთში

**რა ხდება მოსკოვში.**

„[illegible]“-ში მოთავსებულია წერილი სათაურით: „რა ხდება მოსკოვში“. ავტორი ამბობს: „მეტად მეუცნაურა მოსკოვის უკაცობა. ქუჩები დღისით თითქმის ცარიელია. ბრბო აღარ სჩანს. გაივლის ვინმე იყიდის სანოვაგეს და ბრუნდება სახლში. მოსეირნეებისაგან და ბავშვებისაგან გამხიარულებული ბულვარები დღეს მკვდარია. უზამბარივით დაჰქრიან საბჭოთა ავტომობილები, ვინტოვკით ხელში გამხეცებულ ხალხით სავსე. ამაშია მთელი „სიცოცხლე“. როცა კი ბინდი დაეშვება მოსკოვზე, აღარავინ არ ჰფეთქავს, ხოლო უზამბარები ჰსწივიან ქუჩებში და საიქიოს გზავნიან აქ დარჩენილებს. მაგრამ, ვინც ახლა დადის მოსკოვში, ისიც მკვდარია. კბილების კრაჰუნით და მუშტის ცემით გულში აგონდებათ საბჭოთა მთავრობა. ისინი ჰსუნთქავენ შიშით, იძინებენ შიშით და ადგომისას უფრო შავდება გლოვის ზარი.

— არ არის პური!

— ჰსდევნიან სახლებიდან!

— ჰხვრეტენ!

უპურობას უბინაობა ერთობა. ბოლშევიკები ბინებიდან სდევნიან კლასს: ნიშანში ამოიღებენ დიდს სახლს და გამოაცხადებენ: სამ დღეში დაცალეთ სახლის ოთხივე სართული! სად წაიღონ ავეჯი და საქონელი? ნაცნობებთან? იქნებ არ იცით გადამზიდი, მეეტლე იღებს ერთხელ გაზიდვაში 500 მან. თუ გინდათ გადაზიდოთ, გაქვთ გარანტია, რომ იმ თქვენ ნაცნობებსაც არ დაითხოვენ ბინიდან? ჩაიქნევს ხელს ყველაფერზე კაცი და ბოლშევიკებსაც ეგ უნდათ. შეჰყავთ შიგ მუშები, ისინიც რბილ მდივნებზე ფუფუნებენ. მრავალ სახლში არავინ არ ცხოვრობს. მრავალი სახლი კი ფორტად გადაიქცა და ფანჯრებიდან ტყვიის-მფრქვევლები იყურებიან. ბოლშევიკები ჰგრძნობენ თავის დასასრულს და უნდათ სიცოცხლე უფრო ძვირად გაჰყიდონ. სხვათა შორის, მათი საომარი მოქმედება არაფერს არ ჰნიშნავს. საბჭოთა მთავრობა შეიძლება ერთ დღეში გაჰქრეს მოსკოვიდან, რადგანაც ტროცკის და სვერდლოვის სამხედრო გეგმა არავის სჯერა. ბურჟუაზია და ინტელიგენცია უკიდურეს მდგომარეობაშია. მდიდრებს ჩამოართვეს სახლები, ქარხნები, მამულები და ყველაფერი, რაც რამ ებადათ. მოსკოვის ბურჟუაზიის ფრონტზე ჰკივიან: თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიანთ“! ყველანი გარბიან მოსკოვიდან უკრაინაში, რომელიც საბჭოთა რუსეთის შემდეგ ყველას სამოთხედ ეჩვენება.

**იოფფეს წერილი**

ჰანს ფორსტონი მოსკოვიდან „ბერლ. ტაგ.“—ისთვის გაგზავნილ კორესპონდენციაში ჰსწერს:

„სანამ გამოქვეყნდებოდა ახალ რუსულ-გერმანულ დამატებითი ხელშეკრულობა, საბჭოთა მთავრობის ერთმა სამხედრო პირმა მაცნობა, რომ რუსის ელჩმა იოფფემ გერმანეთის მთავარ ბანაკში წერილი გაგზავნა. წერილში იოფფე ამბობს რომ ახალი ხელშეკრულობაც იმდენად მძიმეა, რომ რუსეთ-გერმანეთის საზავო დამოკიდებულობის საფუძველი ირყევა. თუ ხანგრძლივ ხელშეკრულობის მიერ შექმნილი დებულება საბოლოოდ ხდება, მაშინ რუსეთ-გერმანეთის ომი აუცილებელი გახდება, როცა საბჭოთა მთავრობა თანახმაა იოფეს წერილთან, რომელმაც ასე მწვავედ წამოაყენა საკითხი“.

**გენ. დენიკინის სიტყვა**

ნოვოროსისკში მოხალისეთა მთავარსარდალმა გენ. ლეიტ. ა. დენიკინმა სთქვა:—მოხალისეთა ლაშქრის დევიზია—ერთეული, განუყოფელი რუსეთი. თუ ყუბანი მიეშველება, ლაშქარიც მუდამ მასთან იქნება. თუ ლაპარაკი დაიწყო ავტონომიურ სახელმწიფოზე, მოხალისენი ხელს შეუწყობენ ახალ რუსეთის შექმნას. ჩვენ ურიგდებით ამ გარდამავალ ხანას და მის კანონებს სანამ რუსეთის სამოქალაქო ცხოვრება მოეწყობოდეს. საჭიროა ვაჭრობის გაცვლა-გამოცვლის გაფართოება. ამისთვის მოწვეულია თათბირი დონისა, ყუბანისა და შავი ზღვის, სტავროპოლის რაიონებისა.

**პროფესორთა დაპატიმრება მოსკოვში**

მოსკოვურ პროფესურის გაფიცვის გამო დააპატიმრეს მოსკოვის უნივერსიტეტის და სხვათა უმაღლეს სასწავლებლის ფროფესორები.

**ტერორი ბოლომდე**

მოსკოვიდან მოსული ცნობით ცენტრალურ კომიტეტში დიდი განგაში გამოიწვია დახვრეტის წინააღმდეგ შემოტანილ პროტესტებმა. ლარინი, რასკოლნიკოვი და ცურინი დათმობაზე წავიდნენ და ამნისტიას მოითხოვდნენ. ტროცკიმ, კარზინმა პეტერსმა საჭიროდ სცნეს ტერორის მიყვანა ბოლომდე.

# ბიუკენენის სიტყვა რუსეთზე

„Uossiche Zeitung“-ს მოჰყავს პეტროგრადში ინგლისის ნაელჩარ სერ-ბიუკენენის სიტყვა წარმოთქმული ლონდონის რუს-ინგლისურ კლუბში. „ვიმედოვნებ რომ რუსეთი სულ მალე დაიჭერს სათანადო ადგილს. რუსეთი ნელა განიცდის კრიზისის ფაზისს, რომლის მიერაც დამოკიდებულია მისი ბედიღბალი. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ლოზუნგად გაიხადეს სიტყვა „უანექსიო და უკონტრიბუციო“, მათ მოსაზღვრე პროვინციები მისცეს გერმანეთს და მოვალეობად მიიღეს 300 მილიონ გირვანქა სტერლინგის მიცემა ზარალის ასანაზღაურებლად. მათ იციან რომ მათი ბოლო ახლოა. უკანასკნელად დღესასწაულობენ სისხლიან ორგიას ალსა და კიევში. რა უყოთ რომ რუსეთს ბევრი დამნაშავე ჰყავს, ხომ არ უნდა შეურიოთ დამნაშავენი უდანაშაულოთა შორის. რუსეთი ღაღადებს შემწეობისთვის და ჩვენც უნდა მივეშველოთ. გერმანეთს ეშინიან, რომ ის ინგლისური მამულები, საიდანაც მას მრავალი დაუმუშავებელი საქონელი გაჰქონდა, ომის შემდეგ დაკეტილი იქნება. ამისთვის სჭირია გერმანეთს რუსეთი, რომ იქიდან გამოზიდოს ის საქონელი. დასავლეთის კონცესიის ნაცვლად მას უნდა მიიღოს ისეთი კონცესიები, რომელიც მის ტერფს განამტკიცებენ აღმოსავლეთში. ასეთი ზავი მოკავშირეთათვის თვითმკვლელობა იქნებოდა. უსაცილოდ უნდა დავეხმაროთ რუსეთს ეკონომიურ აღორძინებისათვის. დავეხმაროთ ფულით, სურსათით და სხ. მაგრამ ამისთვის ჯერ თვითონ რუსებმა უნდა შეწყვიტონ შუღლი და შინაური ომი. მოკავშირეებმა უნდა აავონ ის საფუძველი, რომელზედაც უნდა განმტკიცდეს რუსეთი, თვისი პარტიებით, კლასებით და ეროვნებებით. ჩვენი საქმე არ არის რასაკვირველია თუ რუსეთში მმართველობის როგორი ფორმა იქნება. რუსეთის ბედი რუსის ერის ხელშია.

ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ მისი წინადადება რუსეთის დახმარებისთვის, სულაც იმას არ ჰნიშნავს, რომ მას ჰსწადდეს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა.

# ალექსანდრე მალინოვი

ბულგარეთის ამბების მიზეზი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი და პოლიტიკური მოღვაწე დაიბადა ბესარაბიაში 1867 წ. დაასრულა კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტი და კიევში იყო ნაფიც ვექილად; 1889 წ. მალინოვმა მიიღო ბულგარეთის ქვეშევრდომობა. იგი ჯერ მოსამართლედ იყო ფილიპპოლში, შემდეგ სოფიაში პროკურორად. სტოილოვის სამინისტროსთან უთანხმოების გამო მალინოვი გადადგა. ადვოკატურის ასპარეზზე გამოვიდა სოფიაში. 1901 წლიდან იგი კარაველოვის სიკვდილის შემდეგ გახდა დემოკრატიულ პარტიის ლიდერად. 1908 წ. იანვრის 16-ს სამინისტროს დაცემის შემდეგ შესდგა გუდევის კაბინეთი, რომელშიაც მან მიიღო საზოგადოებრივ მუშაობათა სამინისტრო. ამ კაბინეთმა დააყუჩა სტუდენტების არეულობა სოფიის უნივერსიტეტში. ოსმალეთის რევოლუციის შემდეგ 1908 წ. ალექსანდრე მალინოვმა ბულგარეთი გამოაცხადა დამოუკიდებლად და მის მეფეთ—ფერდინანდი. მან კონფისკაცია უყო სახელმწიფოს სასარგებლოდ ბულგარეთის მთავარ სარკინიგზო ხაზს, რომელიც ავსტრიელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. მალინოვის დადგენილებით სამართალში მისცეს სამი მინისტრი—პეტროვი, პეტკოვი და გუდევი. გამოძიება ომიანობის გამო დაგვიანდა და 1912—13 წ. წ. შესწყვიტეს. მალინოვი ამზადებდა კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტს, რომელიც სახალხო ყრილობამ მიიღო უკვე მალინოვის გადადგომის შემდეგ. მარტში, 1911 წ. მალინოვი გადადგა უთანხმოებისა გამო, რომელიც მას ფერდინანდთან მოუხდა. 1913 წ. მეფემ მალინოვს მიანდო კოალიციურ კაბინეტის შედგენა, მაგრამ სოციალ-დემოკრატების უარის გამო, იგი არ შესდგა. მაშინ დაარსდა ვასილი რადოსლავოვის კაბინეტი, რომელიც რუსოფილურ პოზიციას ადგა. ჩრდილო-დობრუჯაში გაგზავნის გამო, რადოსლავოვი იძულებული გახდა 1918 წ. თიბათვის 16-ს გადამდგარიყო და 17 თიბათვეს იგი შესცვალა ალექსანდრე მალინოვის რუსოფილურ კაბინეტმა. ალ. მალინოვი დემოკრატიულ პარტიის ლიდერია და მის ორგანოს „ნაროდნი პრავას“ ხელმძღვანელობს. იგი ცნობილია თვისი რადიკალურ მოღვაწეობით. ბულგარეთის რადიკალურ წრეებში და თვით ბულგარეთის ხალხში მან დიდი გავლენა და პატივისცემა მოიპოვა.

# საქართველოს კალენდარი

როგორც სხვა დარგში, აგრეთვე დღეთა აღნიშვნაშიც საქართველოს რუსეთის ბეჭედი აზის. ამისდა მიხედვით, საქართველოს კალენდარი ისეთნაირად არის სხვადასხვა უქმეებით არეულ-ჩამატებული, რომ არა გვგონია ასეთი აღრევა სადმე სხვა სახელმწიფოში არსებობდეს. მეტადრე ევროპის ქვეყნებში, სადაც მრავალუქმიანობა განდევნილია, რადგანაც სწამთ, რომ უქმეს რაიმე დიდებულების მნიშვნელობა აქვს და მის პატივსაცემად იშვიათად უნდა იყვეს. რუსეთში და ჩვენში კი არის დაწესებულებანი, რომელნიც თორმეტი თვის განმავლობაში სამ-ოთხ თვეს არც კი საქმობენ.

და ეს სენი იმდენად ღრმა და სამძიმოა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ მისი აცილება ერთი-ათად გაგვაძლიერებდა.

საქართველოსათვის დღესაც გამოურკვეველია მისი ნამდვილი უქმეები. ხელმწიფის ან მის მოგვარეთა მატარებლის გადაბრუნება და დაგვიანება, ან ვიღაც ყაზანელ წმიდანთა დღეები ჩვენც უქმეებად დაგვისახავს და მით, ისედაც რვა საათის სამუშაო დღით შემცირებულ წარმოებას, რიცხოვანებითაც ვამცირებთ. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ამას წინად შრომის სამინისტროს მეთაურობით მოწვეულ იქმნა უქმე-დღეების დაწესების კომისია, მაგრამ აქ სამუშაოდ რუსის სამღვდელოების მოწვევამ და მისი რჩევის კითხვამ დაგვანახვა, რომ ეს კომისიაც სხვა უკარგშედეგო კომისიათა ღირსებისაა...

ახალი სტილის შემოღებამ, შრომის სამინისტროს ბრძანებამ, პროფესიონალურ კავშირის კონტრ-ბრძანებამ, სარევოლიუციო და სხვა უქმეებმა ხომ ყველაფერი აწეწ-დაწეწა. არ არის სისტემა, არ არის წესი... სხვა და სხვა ორგანიზაციების ბრძანების გამო ერთი და იგივე უქმე წელიწადში ორჯელ არის და ისედაც მრავალი საზარმაცო დღეები ერთი-ორად მრავლდებიან... ხალხმა არ იცის, როდის, ან რა გააკეთოს!.. საქართველოსათვის კი ამ საქმის მოგვარება მეტად საჩქარო და საჭიროა. ისე არაფერი საჭიროებს სახელმწიფოში მეტს მუშაობასა და ენერგიას, როგორც აღმშენებლობის ხანა. ამიტომ ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი კალენდარი, რომელიც ჩვენთვის ძვირფას და საჭირო უქმეები მიხედვით უნდა იქნეს შედგენილი.

კალენდარის შედგენის დაჩქარებას სხვა გარემოებაც გვიკარნახებს. აგერ ახალი წელიწადი კარებს უახლოვდება და გამომცემლებმა არ იციან, როგორი კალენდარი დაჰბეჭდონ. უამისოდ ყოფნა და მუშაობა ხომ არსად შეიძლება; მაშასადამე, თუ არ დავაჩქარებთ, კალენდარი თავის დროსა და დანიშნულებას ვერ მიაღწევს და მით საქმე ერთხელ კიდევ შეფერხდება...

**მიხ. კიაზოშვილი.**

# კორესპონდენცია

**ერწო (თიანეთის მაზრ.)**

დღითი-დღე მრავალი ხალხი აწყდება ერწოს მხარეს პურის მყიდველი; თანაც გაჩნდენ შიგა და შიგ შინაური წურბელა ჩარჩები, ყიდულობენ კოდ პურს ოცათ—ოცდახუთ თუმნათ და მეორე-მესამე დღესვე გარეშე პირზე, ოცდა-ათ თუმნათ და მეტათაც ჰყიდიან, ერწოში ოთხი კოოპერატივის დუქანი გვაქვს. მაგრამ ვერც ერთ კოოპერატივში თითქმის ვერა ნახავს კაცი მარილს, საპონს ბრინჯს, შაქარს, ხახვს, ჰურჭლეულობას და სხვა, რაც კი ოჯახისთვის საჭირო საგნებს შეადგენს. დიდძალი მარილი და ხახვი მოიტანეს და კიდევ მოაქვთ აქეთ მარტყოფ-ნორიოლებმა და ჰურჭლეულობა კახელებმა, და სულ კი ჭირნახულზე გაცვალეს და, დიდძალი ჭირნახულიც გაზიდეს; ჩვენებურ კოოპერატივების გამგეთ რო გამჭრიახობა ჰქონოდათ და, მარილი, ხახვი, ჭურჭლეულობა და სხვა რამე შეეძინათ, ეს ამოდენა ჭირნახული კოოპერატივებში დატრიალდებოდა და ხალხსვე გამოადგებოდა, მხოლოდ ერთათ ერთი თიანეთის კოოპერატივი ცდილობს აასრულოს სვინიდისიერად თავისი მოვალეობა. აქაური მატყლები, გარეშე პირებმა შეიძინეს, მაშინ როცა კოოპერატივებს შეეძლოთ შეეძინათ, რომ რიგიანი გულშემატკივარი ჰყვანდეთ და პირი-პირს მიეცათ.

აქეთ ქალის მოტაცება გახშირდა. წარსულ კვირაში ერთი ქალი საყდრიონში მოიტაცეს და მეორე ჩეკურაანთ გორიდგან. ეს უკანასკნელი თვალებ აკრული ტყე-ტყე წაიყვანეს ასკილაურში ვინმე გახუტელაშვილის მეთაურობით. ძროხილაანი საყდრიონის საზოგადოების კომისრის ბიჩინაშვილის მეთაურობით და მილიციონერებით, ორმოცამდე კაცი დაედევნენ, დაიჭირეს გახუტელაშვილი ამხანაგებით ოქმი შეუდგინეს და ხელებ გაკრული თიანეთში წაიყვანეს, ხოლო ქალი თავის სახლში დააბრუნეს.

სოფ. საყარაულოს წისქვილები განთქმულია, ამ წისქვილებში ამ ჟამად იმდენი საფქვავი მიაწყდა რო, ზედახოცვაა; ზოგი ორ-ორ ურემსა ფქვავს, უფრო კი გასასყიდათ, აქაოდა ქალაქში ფუთი ფქვილი ოცდა-სამ ოცდა ხუთ თუმნათ იყიდება [illegible] ზოგან მუცლის სახადი გაჩნდა.

**მეთვალყურე.**

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის** | | | | |
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |
| **თბილისში მოვა** | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

## ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათა, პროექტბბის, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

მიჰმართეთ „საქართველოს“ რედაქციაში მდივანს, დილის, 9 საათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

## ვამზადებ ქართულ ენაზე ბავშვებს

1-ლ და მე-2-რე კლასისთვის, ჩემ შვილებთან ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შესდგება ორი ჯგუფისაგან. ჯგუფში მხოლოდ 5 ბავშვი იქნება მიღებული. ქართულ ენაში ჩამორჩენილ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ახალი ენები მსურველთათვის განსაკუთრებულ ფასში.

მოსალაპარაკებლად 4—7 საათამდე. ნოვობებუთოვის ქუჩა 9. მეორე სართულში. ბინა № 4. **ტელეფონი 10—02.** (2—1791)

## ინტელიგენტ ქალთა წრე

**იღებს შეკვეთებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჯკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბინა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—7

## ექიმი
## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

## მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
## გ. გ. მგზავიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

## ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

## საავადმყოფო

**სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

## სამკურნალო კაბინეთი ექიმის
## ალექსანდრე დავით[illegible]
## [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

## გაიხსნა
## თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

## [illegible] გაიხსნა ახალი
## საავადმყოფო
[illegible]

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

## ექიმი
## გ. [illegible]

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

## [illegible]
## [illegible]

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.